სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი პარასკევი 30 მაისი 2008 №122 (3346) ფასი 50 თეთრი

მეგობრებთან ერთად...

ზოთა არველაძის მეგობრების ნაკრებმა გუშინ პირველად ივარჯიშა

8

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

ევრო 2008

მონაწილეთა განაცხადები

8-9



შერმადინი ამერიკული თვალით

13

დაგვხვდა თავსხმა, გველის თავდასხმა

ფოტო: ალექსანდრე ფოფხაძე

საქართველოს ნაკრები ჩარტერული რეისით ოთხშაბათს გვიან ღამით ტალინიდან პორტუში ჩაფრინდა, იქ კი თავსხმა წვიმა დახვდა.

პორტუდან ჩვენი ეროვნული გუნდი 150 კილომეტრით დაშორებულ ვიზეუში ავტობუსით გაემგზავრა, იმ ქალაქში, სადაც ხვალ პორტუგალიის ნაკრებს შეხვდება.

გუშინ დღისით პეტარ სეგრტმა ფეხბურთელებს ჯერ თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა, საღამოს კი ავარჯიშა. პორტუს მსგავსად, დარი არც ვიზეუში იყო.

პორტუგალიაში გამგზავრებისას ზურაბ მენთეშაშვილს სიცხე ჰქონდა, თუმცა ვარჯიშის დრომ რომ მოაწია, უკვე კარგად იყო და სხვებთან ერთად ივარჯიშა. ჯანმრთელობის მხრივ მეტი პრობლემა, საბედნიეროდ, არავის აქვს.

ამასობაში კი, პორტუგალიელთა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ერთხელაც დაადასტურა, საქართველოს ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო ამხანაგურ მატჩში უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთო.

სკოლარიმ ისიც თქვა, ქართველებთან 4-3-3 სქემას გამოვიყენებ, რაკი ევროპის ჩემპიონატზე თურქეთის წინააღმდეგ პირველ მატჩში სწორედ ამ ტაქტიკაზე დაყრდნობას ვაპირებო.

და მთავარიც: პორტუგალიურ ვებგვერდებზე საქართველოს წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობაში მყოფი ფეხბურთელების სახელები გამოქვეყნდა...

პორტუგალია საქართველოსთან

რიკარდუ; ბოსინგვა, პეპე, რ. კარვალიუ, პ. ფერეირა; პეტიტი, მუტინიუ, დეკუ; რონალდუ, სიმაო, ნუნუ გომეში

ლუიშ ფელიპე სკოლარი

დეკუ და კრისტიანუ რონალდუ გუშინდელ ვარჯიშზე

ევროვნული ჩემპიონატის გეოგრაფია

ბათუმი შეედეგმა, ჭიათურა, მცხეთა და ახალციხე კი ლიცენზირებამ შეიწირა

„ვიტ ჯორჯია" „ლოკომოტივის" სტადიონზე ითამაშებს

ფოტო: ალექსანდრე ფოფხაძე

გელა ინალიშვილი, გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ჩიხრაძე და გოგა გახოკიძე

რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა

შოთა არველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებთან ერთად...

ჩვენ კალათბურთის სისტემით ვითამაშებთ, ვინც დაიღლება, წამშივე შევცვლით, შემცვლელები კი, იცოცხლეთ, იქნებიან — იხუმრა გუშინ რევაზ ძოძუაშვილმა, რომელიც შოთა არველაძის გამოსათხოვარ მატჩში მურთაზ ხურცილავასთან და ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იქნება...

შოთას გამოსამშვიდობებელი მატჩი, მოგეხსენებათ, ეროვნულ სტადიონზე 3 ივნისს გაიმართება — ჩვენი ეროვნული გუნდის სამი თაობის ფეხბურთელები შოთას უცხოელ მეგობართა ნაკრებს შეხვდება. გუშინ კი შოთა არველაძემ აქაური ძმა-ბიჭები შეკრიბა და „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ერთად ივარჯიშეს. როგორც უნდა იყოს, 3 ივნისს ჩვენს ვეტერანებს თუ ახალგაზრდებს გადაჭედილ „ეროვნულზე“ სხვა ვარსკვლავებთან თამაში მოუწევთ და იქამდე ფორმა ცოტათი მაინც უნდა აღიდგინონ.

შოთა და არჩილ არველაძეები, გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ღუდუშაური, მურთაზ შელია, გიორგი ჩიხრაძე, ირაკლი ზოიძე, ნიკა ჩხეიძე, გელა ინალიშვილი, გოგა გახოკიძე, გიორგი ანჩაბაძე — გუშინ ამ ფეხბურთელებმა ივარჯიშეს, სხვებიც იქ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ზოგს მაისისთვის უჩვეულო აცივებამ და წვიმამ, ზოგსაც კი პირადმა საქმეებმა ძველ თანაგუნდელებთან შეხვედრა გადაადებინა.

— ვერ წარმოიდგენთ, ახლა, როცა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშს ვიწყებ, როგორი ბედნიერი ვარ, აქ გავიზარდე და ჩემი ბოლო მატჩისთვისაც მზადებასაც აქვე ვიწყებ. მსურს, რომ 3 ივნისს მართლაც ლამაზი საღამო გამოვიდეს — თქვა ვარჯიშის დაწყებამდე შოთა არველაძემ და მეგობრებს შეუერთდა.

ერთი-ორი წუთის შემდეგ კი გიორგი ქინქლაძეც გამოჩნდა, მას აღარ უვარჯიშია, თუმცა თქვა, რომ...

— ცხადია, შოთას გამოსამშვიდობებელ მატჩში ვითამაშებ, თბილისშიც საგანგებოდ ამ საქმისთვის ჩამოვედი.

— ერთ ტაიმს ითამაშებ?

— არა, არა მგონია, ჩემს გარდაც ხომ ბევრი ფეხბურთელი იქნება, 15-20 წუთს ვითამაშებ.

— ამჟამად რას საქმიანობ?

— მოსკოვში ვარ.

— ფეხბურთთან არანაირი შეხება არ გაქვს?

— არა, ბურთს კარგა ხანია, არ გავკარებივარ.

— ბიზნესით ხარ დაკავებული?

— დიახ.

— უფეხბურთოდ როგორ ძლებ?

— რა ვიცი, აბა...

— თბილისში რამდენი ხანია, არ ყოფილხარ?

— ექვსი თვეა...

— შენი და შოთას ერთად თამაში არ მოგენატრა?

— როგორ არა, 3-ში ახალგაზრდობას გავიხსენებთ.

— იმ 15-20 წუთში შოთას საგოლე პასებსაც მისცემ?

— სხვანაირად არც ადრე ყოფილა და არც ახლა იქნება.

გიო ქინქლაძემ ერთი კი დააპირა, თანაგუნდელებთან ერთად მოედანზე გასულიყო, მაგრამ გადაიფიქრა... მისი ძველი მწვრთნელები მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი იქვე იყვნენ, მაგრამ ახლა უკვე რაღას გააწყობდნენ...

ვარჯიში ხალისში გაილია და ბიჭებიც ერთმანეთს დროებით დაემშვიდობნენ... დღეს ივარჯიშებენ, ხვალაც, კიდევ ერთ-ორჯერ და 3-ში უკვე დიდი ფეხბურთიდან შოთა არველაძესაც ერთად გააცილებენ.

კოგა ინასარიძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

გიორგი ქინქლაძე

ნიკა ჩხეიძე და ირაკლი ზოიძე

არჩილ არველაძე და გიორგი ანჩაბაძე

3 ივნისის მატჩის მონაწილეები

საქართველოს ნაკრები: ირაკლი ზოიძე, გიორგი ლომაია, ნიკა ჩხეიძე, მურთაზ შელია, კახა ცხადაძე, კახა კალაძე, გიორგი ღუდუშაური, მალხაზ ასათიანი, გიორგი ჩიხრაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან კობიაშვილი, კახა გოგიჩაიშვილი, რევაზ არველაძე, არჩილ არველაძე, გიორგი ქინქლაძე, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი, თემურ ქეცბაია, მიხეილ ყაველაშვილი, გოგა გახოკიძე, გოჩა ტყებუჩავა, დავით მუჯირი, გოგა გახოკიძე, რატი ალექსიძე, გიორგი გელაშვილი, ზაქარია ბეგლარიშვილი, ლევან მჭედლიძე, ლევან ყენია.

მწვრთნელები: ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა.

შოთას უცხოელი მეგობრები: ფრედი გრიმი (ჰოლანდია), ჰალიდ სინუ (მაროკო), მორის როსი (შოტლანდია), აარონ ვინტერი (ჰოლანდია), დანი ბლინდი (ჰოლანდია), ფრანკ დე ბური (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), არტურ ნუმანი (ჰოლანდია), დენი ლანძაატი (ჰოლანდია), რიხარდ ვიჩგე (ჰოლანდია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), კენეტ პერესი (ჰოლანდია), მიხაელ მოლსი (ჰოლანდია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), დენი კუვერმანსი (ჰოლანდია), დინ გორე (ჰოლანდია), რუბიალესი (ესპანეთი), დამიანო ტომაზი (იტალია), თოლუნაი კაფკასი (თურქეთი), ოგუნი (თურქეთი), კლაუდიო კანიჯა (არგენტინა), ბრაიან ლაუდრუპი (დანია), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ანდრეი ვორონინი (უკრაინა), ანდრეი კანჩელსკისი (რუსეთი).

მწვრთნელები: ლუის ვან გაალი, მორტენ ოლსენი.

ტულონის ოთხთა ტურნირი U-20

მატჩი III ადგილისთვის

კოტ დივუარი 2:2 (4:3პ) იაპონია

ფინალი

ჩილე 0:1 იტალია

ბელგია

გადასასვლელი პლეი ოფი

IV ტური

ანტვერპენი 1:0 ოუდ ევერლე

ტუბეკე 3:1 ლოველი

ევროპის U-19 ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

საბერძნეთი 3:1 რუსეთი

მოლდოვა 0:0 ჰოლანდია

ამხანაგური მატჩები

ჰოლანდია 1:1 დანია

თურქეთი 2:0 ფინეთი

ირლანდია 1:0 კოლუმბია

ახალგაზრდულები

ლატვია 2:1 ესტონეთი

შვედეთი

სუპერლიტა. VIII ტური

სირიუსი 2:1 ენჩიოპინგი

ვინ ვის

ქართული კლუბები ევროპულ გზაზე

დაახლოებით ერთი თვის წინ „სარბიელმა“ ევროთასებზე გამსვლელი ქართული კლუბების საკვარაუდო მეტოქეების სია წარმოგიდგინათ. ცხადია, მაშინ სია არასრული იყო.

ახლა კი, როცა მთელ ევროპაში სეზონი პრაქტიკულად დასრულებულია, ამ სიამ უფრო სრულყოფილი სახე მიიღო და თეთრი ლაქები მასში თითქმის აღარ არის.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რაც მაშინაც ვთქვით: საქართველოს ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე განთესილთა შორისაა, მეორე და მესამე ეტაპებზე კი (თუ გააღწია) განუთესავთა შორის იქნება. ხოლო უეფას თასზე გასული ორივე ქართული კლუბი პირველივე ეტაპზე განუთესავთა შორისაა...

ფოტო: დოლიძეებისა ბიბლიოთეკა

ფოტო: დოლიძეებისა ბიბლიოთეკა

ფოტო: დოლიძეებისა ბიბლიოთეკა

ზესტაფონის და ვიტ ჯორჯიას საკვარაუდო მეტოქეები უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე

ავსტრია (ვენა, ავსტრია)
ჰერტა (გერმანია)
დებრეცენი (უნგრეთი)
ზალცბურგი (ავსტრია)
გროცლინი (პოლონეთი)
ბელინცონა (შვეიცარია)
ლეგია (პოლონეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი)
ტრნავა (სლოვაკეთი)
უნგრეთის მეორე გუნდი
ნისტრუ (მოლდოვა)
დაჩია (მოლდოვა)

დინამოს საკვარაუდო მეტოქეები ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე

ბატე (ბელარუსი)
ლევადია (ესტონეთი)
ოლიმპიკი (აზერბაიჯანი)
დინამო (ალბანეთი)
პიუნიკი (სომხეთი)
აქტობე (ყაზახეთი)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)
ლანელი (უელსი)
რუნავიკი (ფარერები)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი)
ვალეტა (მალტა)
სანტა კოლომა (ანდორა)
ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)
სან მარინოს ჩემპიონი

დინამოს საკვარაუდო მეტოქეები ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე

რეინჯერსი (შოტლანდია)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ბაზელი (შვეიცარია)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ანდერლეხტი (ბელგია)
სპარტა (ჩეხეთი)
დინამო (უკრაინა)
პარტიზანი (სერბეთი)
დინამო (ხორვატია)
ვისლა (პოლონეთი)
არტმედია (სლოვაკეთი)
ოლბორგი (დანია)
ბრანი (ნორვეგია)
რაპიდი (ავსტრია)

დინამოს საკვარაუდო მეტოქეები ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე

ლივერპული (ინგლისი)
ბარსელონა (ესპანეთი)
არსენალი (ინგლისი)
შალკე (გერმანია)
იუვენტუსი (იტალია)
მარსელი (საფრანგეთი)
სტიაუა (რუმინეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
შახტარი (უკრაინა)
ფიორენტინა (იტალია)
სპარტაკი (რუსეთი)

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გადასული ოთხი უმაღლესი კოეფიციენტის მქონე გუნდი ბოლოს კი ვთქვათ, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების, ასევე უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა 27 ივნისს, ჩვენი დროით 14 საათზე დაიწყება და, ტრადიციულად, უეფას ნიონური შტაბბინა უმასპინძლებს, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მესამე და უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა 3 აგვისტოს იმავე ადგილას შედგება...

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბონელი „პანტერები“ მომავალი კვირის საკვალიფიკაციო შეხვედრების გასამართად ემზადებიან. მათ შორის არიან თბილისის „დინამოს“ და „ზესტაფონის“ ლეგიონერებიც — დიდიე ოვონო, ჟორჟ აკირემი, ერნესტ აკუასაგა და პოლ კესანი.

გაბონის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდმა კესანთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც „სარბიელის“ ვერსიით, მე-19 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერი ნაკრების გარდა კლუბზეც საუბრობს...

მცდელობა დანაშაული არ არის

პოლ კესანი საქართველოდან არ მიდის

— სანაკრებო თემამდე, მინდა, მოგილოცოთ კლუბში გატარებული კარგი სეზონი — საქართველოს თასის მოგებით და ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორობით კმაყოფილი იქნებით...

— პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ გაბონურ ფეხბურთს და ნაკრებს დიდ ყურადღებას უთმობთ. თქვენ კარგად გესმით, რა მნიშვნელობისაა ნაკრებში თამაში ჩემს კარიერაში. რაც შეეხება იმ ლამაზი ჯილდოს მოგებას და უეფას თასის საგზურს მოპოვებას, ამით მართლა ძალიან ბედნიერი ვარ.

— ბოლო ოთხ მატჩში „ზესტაფონს“ 3 გოლით შეეშველეთ. ეს ცოტა მოულოდნელი იყო, რადგან მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან სიახლოვე ადრე არ გჩვეოდათ...

— მართალია, ეს ყოველთვის მაკლდა. თუმცა არა უშავს, მცდელობა დანაშაული როდია. სეზონის დასაწყისში მწვრთნელმა უფრო დაცვითი როლი დამავალა, თუმცა შეტევების წამოწყების ფუნქციასაც მაკისრებდა. სეზონის ბოლოსკენ შეტევებში ჩართვას მოვუხშირე, შედეგიც კარგი გამოვიდა და თავდაჯერებაც ვიგრძენი. ახლა უკვე უფრო რისკიანად ვთამაშობ.

— კარიერის გაგრძელებას ისევ საქართველოში აპირებთ?

— ვფიქრობ, საუკეთესო სეზონი წინ მაქვს. პირველ წელთან შედარებით საქართველოს ჩემპიონატში უკეთესობა შეინიშნება, იქური ფეხბურთი სწორი გზით ვითარდება...

— ახლა ნაკრებზეც გკითხავთ. რამდენიმე დღეში აფრიკის ეროვნებათა თასის და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშები გელით. გაბონის ჯგუფს როგორ შეაფასებთ?

— ჯგუფის ფავორიტი, რა თქმა უნდა, განის ნაკრებია. ჩვენც ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ. კალენდარი შედგენილია და, როგორც იტყვიან, ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. შინ ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ, სტუმრად კი ერთი მოგება და ორი ფრე მისაღები იქნება.

— ნაკრების წევრებთან თუ გაქვთ კავშირი?

— ტელეფონით ვეხმიანები ფაბრის დე მარსოლინოს, ტიერი ისიმუს და ერიკ მულუნგუის... რა თქმა უნდა, ნაკრების მომავალზე ვმსჯელობთ, ჯგუფში ჩვენთვის საჭირო და მოვლენათა ყველანაირ განვითარებაზე ვლაპარაკობთ...

— ახლა კამერუნთან შინ 0:2 წაგებულ შეხვედრაზე მტკივნეულად ლაპარაკობენ. როგორ აპირებთ გულშემატკივართა გულის მოგებას?

— კამერუნთან მართლაც დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. ძალიან სამწუხაროა, რომ უპირატესობის მიუხედავად, დავმარცხდით. თუმცა ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ყველაფერი ჩვენს სტილში უნდა ვაკეთოთ, მინდორზე გულით ვითამაშოთ და გაბონელებს ვანახოთ ჩვენი თავგანწირვა. ნაკრებსა და ქომაგებს შორის ერთობა უნდა აღვადგინოთ. ჩვენს ხალხს ძალიან უყვარს ეროვნული ნაკრები და ფეხბურთელებმა ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ.

ქართული კლუბების საზიარო მიდი-მოდი

ჭიათურა ზესტაფონში, ახალციხე ბორჯომში, მცხეთა თბილისში

ჭიათურის „მაღაროელი“ რომ უმაღლეს ლიგაში გადავიდა, არახალია, თუმცა ჭიათურელებს ლიცენზირებასთან დაკავშირებით ჰქონდათ პრობლემა. გუშინ „მაღაროელის“ მთავარ მწვრთნელ *ბადრი ბრეგვაძეს* შევეხმიანეთ და გუნდის მომავალზე ვკითხეთ: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უკვე შევიტანეთ საბუთები და ლიცენზირების პრობლემა თითქმის მოგვარებულია. დაფინანსების საკითხი კი ჯერ ბუნდოვანია. იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში გამოიძებნება სახსრები და ამდენი შრომა წყალში არ ჩაიყრება. გასული სეზონის დავალიანებაც არ არის ბოლომდე გასტუმრებული“.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის მენეჯერ *ბაქარ ყორდანიასაც* ვესაუბრეთ...

— უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კლუბებიდან ყველა აქვს ლიცენზია?

— ჭიათურის „მაღაროელს“ ჰქონდა პრობლემა, მათ მიეცათ პირობითი ლიცენზია და უმაღლესში ითამაშებენ, თუმცა ჭიათურაში ვერ უმასპინძლებენ მეტოქეებს. „მაღაროელი“ ზესტაფონში ითამაშებს.

— სტადიონების მხრივ სხვა გუნდებს როგორ აქვთ საქმე?

— ცხინვალის „სპარტაკი“ „თენგიზ ბურჯანაძეზე“ ითამაშებს, ახალციხის „მესხეთი“ ბორჯომში „ჯემალ ზეინკლიშვილზე“, თბილისის „ვიტ ჯორჯია“ კი „მიხეილ მესხზე“ უმასპინძლებს მეტოქეებს. თუ რომელიმე ეს გუნდი სეზონის განმავლობაში მოაწესრიგებს თავის სტადიონს, კომისია შეამოწმებს და პასუხიც დამაკმაყოფილებელი იქნება, მაშინ შეეძლებათ საკუთარ სტადიონზე თამაში.

— „ზესტაფონი“ უეფას თასზე გავიდა და ამ კლუბის ხელმძღვანელებს სურთ, ზესტაფონში ითამაშონ. რამდენიმე დღის წინ თქვენ იყავით ზესტაფონში და რა სიტუაცია დაგხვდათ?

— სტადიონს მოუგვარებელი პრობლემა არ აქვს, მთავარი ფინანსები და მონდომებაა. როგორც იქ ითქვა, უკვე განაწილებულია, ვინ რა უნდა გააკეთოს. გუშინ უეფადან მივიღეთ წერილი, რომელშიც ორ პრობლემაზეა გამახვილებული ყურადღება — აეროპორტი და ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო. სამწუხაროდ, ეს ამ ეტაპზე მოუგვარებელი პრობლემაა, თუმც კვლავ მიდის მოლაპარაკება და არ არის გამორიცხული, უეფამ გამონაკლისი დაუშვას.

— უეფა საბოლოო პასუხს როდის იტყვის?

— ივნისის ბოლომდე.

— უეფა სტადიონის ტევადობას არ აქცევს ყურადღებას?

— მცდარია აზრი, რომ სტადიონი აუცილებლად 20-ათასიანი უნდა იყოს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს 3-ათასიანი სტადიონითაც კი უმასპინძლებ, მთავარია, რამდენად კომფორტულადაა მოწყობილი — უეფა სწორედ ამას აქცევს ყურადღებას.

ნუკრი ლოლაძე

სამი ებრაელი და ერთი მასპინძელი

31 მაისს საქართველოს ეროვნული ნაკრები ვიზეუში პორტუგალიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს.

ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდისა და საქართველოს ნაკრების ამხანაგურ შეხვედრას ებრაელი მსაჯები მოემსახურებიან:

არბიტრი — ლევი მეირი; თანაშემწეები — დევიდ ნისანი და ჰატუკა ეიალია;

მეოთხე მსაჯი კი პორტუგალიელი პაულუ ბაპტიშტა იქნება.

შეგახსენებთ: მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი 21.15 საათზე დაიწყებს.

კახა შალამბერიძე

კახა ალადაშვილის ხარკოვი შეწყდა

კახა ალადაშვილი უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრეში კიევის „დინამოდან“ „ხარკოვში“ იყო განათხოვრებული და თვითონ ფეხბურთელი იმედოვნებდა, რომ იჯარის ვადა გაგრძელდებოდა, თუმცა ხარკოველებმა უარი თქვეს. უკრაინულ პრესაში წერია, ქართველი მარჯვენაფლანგელი თავიდან კარგად ათამაშდა, მაგრამ მერე ფორმა დაკარგა და ხარკოველთა უარიც ამის ბრალიაო.

მოკლედ, ალადაშვილი კიევის „დინამოში“ დაბრუნდება და, სავარაუდოდ, ისევ რომელიმე გუნდში განათხოვრება ელის, თუმც, შესაძლოა, გაყიდვაზეც მიდგეს საქმე.

საწყენი კია, ვერც ალადაშვილმა და ვერც კიდევ ერთმა კიევის დინამოელმა ოთარ მარცვალაძემ, რომელიც დიდი ხანია, ტრავმირებულია, უკრაინაში ფეხი ვერ მოიკიდეს.

ილია ნანოგაშვილი

ქარვანიდან ქართული ქარავანი მიდის

აზერბაიჯანულ ევლახის „ქარვანს“ ყველა ლეგიონერი დატოვებს და, ცხადია, შემცირებაში ქართველებიც მოჰყვნენ.

„მე არ მჭირდება ისეთი ლეგიონერები, როგორებიც ჩვენ გვყავს“ — თქვა „ქარვანის“ მწვრთნელმა და მას კლუბის პრეზიდენტმაც დაუკრა კვერი.

მოკლედ, რომან ახალკაცს, ლექსო ინწკირველსა და გოჩა ტრაპაიძეს ახალი გუნდის მოძიება მოუწევთ.

ილია ნანოგაშვილი

მინგე ტოპმიოლერს ეძახის

ჯერ იყო ზაგრების „დინამო“, მერე განის ნაკრები, ახლა კი კლაუს ტოპმიოლერის მომავალ ნავსაყუდელად დრეზდენის „დინამოს“ ასახელებენ. საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი, სავარაუდოდ, დიდხანს ვერ გაძლებს უმუშევრად. დრეზდენული ვარიანტი კი, ვეჭვობთ, რალფ მინგეს უნდა უკავშირდებოდეს — მინგე ხომ ტოპმიოლერთან ერთად მუშაობდა საქართველოში და მანამდეც კარგა ხანს ერთად იყვნენ.

მინგე საქართველოს ნაკრების პარალელურად, დრეზდენის „დინამოს“ დირექტორიც გახლდათ და ახლაც ამ პოსტზეა.

ცნობისთვის, ყოფილი გდრ-ული გრანდი ახლა გერმანიის რეგიონლიგაშია და ძალიან საეჭვოა, ჰერ კლაუსი ასეთი კლუბის გაწვრთნას დათანხმდეს.

ილია ნანოგაშვილი

გადრი კეთილაძის ფოტო

ალბათ, ეს იყო ყველაზე ღარიბი სეზონი უკრაინაში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებისთვის. გავიხსენოთ წინა წლები, ხან გიორგი დემეტრაძე იყო იქაური ჩემპიონატის ერთ-ერთი პირველკაცი, ხან ვასილ გიგიაძე... სხვა ჩვენიანებიც წარმატებით თამაშობდნენ, გასულ ჩემპიონატში კი თითო-ოროლა ქართველი თუ ხვდებოდა თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. სეზონჩაგდებულთა შორისაა პოლტავის „ვორსკლას“ და საქართველოს ნაკრების ფორვარდი ლაშა ჯაკობიაც, რომელიც ამ გუნდში ზამთარში გადავიდა ხარკოვის „მეტალისტიდან“. ლაშა ამჟამად თბილისშია, მასთან კარგა ხანია, არ გვისაუბრია და ამიტომ ცოტა მოძველებულ ამბებსაც შევეხეთ...

პავლოვი მწვრთნელის გარდა ყველაფერია!

ლაშა ჯაკობია: ჩემი ვორსკლა დამთავრდა

— უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრე ისე გაილია, საერთოდ ვერ ითამაშე. უცნაურია, ჯაკობია „ვორსკლას“ განაცხადშიც კი ვერ ხვდებოდეს. რა იყო მიზეზი?

— თავიდან რომ მივედი „ვორსკლაში“, ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ მწვრთნელი შეგვეცვალა. 65 წლის იური პავლოვი მოვიდა, რომელმაც რატომღაც მაშინვე ამითვალწუნა. 65 წელი ტყუილად არ მიხსენებია. მესმის, რომ მწვრთნელისთვის მაინცდამაინც დიდი ასაკი არაა, მაგრამ წარმოიდგინეთ, 5 წლის წინ „ილიჩევეციდან“ გაუშვეს და მას მერე არსად უმუშავია. ვალერი ლობანოვსკის დროინდელი მეთოდებით ავარჯიშებს გუნდს, მისი თანაშემწე იყო ერთ დროს. მისთვის თანამედროვე ფეხბურთი არ არსებობს, ისევ ძველ დროში ჰგონია თავი.

— კი მაგრამ, აბა, როგორ იგებდა „ვორსკლა“ ამდენ თამაშს?! სანამ პავლოვი მოვიდოდა, გასავარდნ ზონაში იყო, სეზონი კი ცხრილის შუაში დაამთავრა...

— როგორ იგებდა, ამაზე არ ვილაპარაკებ, მაგრამ უკრაინაში პავლოვს აღარავინ ცნობს ძლიერ სპეციალისტად. ხუთი წელი იმიტომ იყო უმუშევარი, რომ არავინ იწვევდა — მწვრთნელის გარდა, ყველაფერია.

— და რატომ ამოგიჩემა?

— ჯერ ერთი, ქართველები რომ არ უყვარს, ეს გავიგე. არადა, ასეთი რამ არც ერთი უკრაინელისთვის არ შემიმჩნევია. ამიტომაც შევეჩვიე ამ ქვეყანას და ამდენი წელი არსად მივდივარ. მეორეც, „ვორსკლაში“ ყველაზე კარგი პირობები მე მქონდა და ეს არ მოეწონა. ორწლიან კონტრაქტზე უკვე მოწერილი მქონდა ხელი, თორემ მაშინვე წამოვიდოდი „ვორსკლადან“. კლუბის პრეზიდენტიც და ფეხბურთელებიც მამხნევებდნენ. საბოლოოდ, მაინც უთანხმოება მომივიდა პავლოვთან, ამას ტრავმაც დაემატა და როცა მოვიშუშე, ჩრდილოეთ ირლანდიასთან სათამაშოდ ნაკრებში გამომიძახეს. ამაზე სულ გადაირია პავლოვი, აქ ვერ თამაშობ და ნაკრებში თურმე შეგძლებიაო... ტრავმას უფრო მალე მოვირჩენდი, საშინელი დატვირთვები რომ არ ჰქონოდა. დატვირთვა კი არ მიკვირს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ახალგამოჯანმრთელებულს ერთი დღე დამესვენა?! არა, ჯიბრზე მექცეოდა. „ვორსკლას“ სამმა ფეხბურთელმა ოპერაცია გაიკეთა ზედმეტი დატვირთვებისგან მიღებული ტრავმის გამო, მე კიდევ იოლად გადავრჩი...

— სეზონი დამთავრდა და ახლა რას აპირებ?

— „ვორსკლაში“ გამჩერებელი არ ვარ. შეიძლება, არც ჩავიდე პოლტავაში და ისე გადავიდე სხვა კლუბში. „მეტალისტის“ მწვრთნელი მირონ მარკევიჩი დღესაც მელაპარაკა, შენთვის კარი ღიაა.

— და რატომ წამოხვედი თავის დროზე „მეტალისტიდან“, სადაც კაპიტანი და ლიდერი იყავი?

— კონტრაქტი მიმთავრდებოდა, ტრავმები მქონდა და თან, „ვორსკლამ“ კარგი პირობები შემომთავაზა. პავლოვი რომ არა, „ვორსკლაში“ მართლაც მშვენივრად ვითამაშებდი. სეზონისწინა შეკრებაზე კარგ ფორმაში ვიყავი, გოლებიც გავიტანე.

— „ვორსკლასთან“ გაისად გიმთავრდება კონტრაქტი და წლეულს ასე უპრობლემოდ გაგიშვებენ?

— არა, გარკვეულ თანხას აიღებენ, მაგრამ აქ ერთი მომენტია: ორი თვეა, ხელფასი არ ამიღია და მესამე თვესაც რომ არ მომცენ, შემიძლია, სასამართლოში ვიჩივლო და თავისუფალი აგენტი გავხდე. თუმც „ვორსკლას“ ხელმძღვანელობასთან შევთანხმდი, ჩივილზე არ მიდგება საქმე და სადაც გადავალ, იმ კლუბს გაცილებით ნაკლებ თანხას მოსთხოვენ. ერთი სიტყვით, პრობლემა არ შემექმნება.

— „მეტალისტის“ გარდა, სხვა ვარიანტებიც გაქვს?

— დიახ, დასავლეთ ევროპიდან კერძოდ, ბელგიიდან. „ანდერლეხტი“ და „ბრიუგე“ არაა, მაგრამ იუპილერლიგის ნორმალური გუნდია. თუმც უკრაინის ჩემპიონატი ბელგიისას კი აღემატება დონით.

— და როდის გადაწყდება, სად წახვალ...

— თუ უკრაინაში დავრჩები, მაშინ 15 ივნისს უნდა წავყვე რომელიმე გუნდს შეკრებაზე. არ მინდა, რომ შეკრება გამოვტოვო. დასავლეთ ევროპაში კი შედარებით გვიან იწყება სეზონები. მოკლედ, დაახლოებით ივნისის შუაში მეცოდინება ახალი გუნდის შესახებ.

— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ. კლაუს ტოპმიოლერი რომ აღარაა გუნდის მწვრთნელი, ამაზე რა აზრის ხარ?

— ტოპმიოლერი ჩემთვის ყოველთვის მაღალი დონის სპეციალისტად დარჩება. ყველგან, სადაც იმუშავებს, წარმატებას ვუსურვებ. მის ხელში მართლაც ბევრი ვისწავლე. ფეხბურთია და ასეთი რამ ხდება: როგორც ფეხბურთელს არ გამოსდის რომელიმე გუნდში თამაში, ისე მწვრთნელს არ გამოსდის მუშაობა...

— ესტონეთთან თამაშს უყურებდი. რას იტყვი?

— თუ გავითვალისწინებთ, რა მინდორი იყო და რამდენი ფეხბურთელი გვაკლდა, ნორმალურად ითამაშა გუნდმა. თან, სეზონი ახალი მორჩენილია, ბიჭები დაღლილები იყვნენ. პორტუგალიასთან თამაშს იმედიანად ველოდები, ასე მგონია, თავს არ შეირცხვენენ ჩვენები.

ილია ნანოგაშვილი

კანკავა და კობახიძე: გერმანული ოპერაცია

დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ქართველმა ლეგიონერებმა, ჯაბა კანკავამ და სანდრო კობახიძემ გერმანიაში ოპერაცია გაიკეთეს — მათ მხარი კარგა ხანია, აწუხებდათ და მკურნალობა ახლა, შვებულების პერიოდში გადაწყვიტეს.

მიუნხენელი ექიმების თქმით, ორივე ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ფეხბურთელებს უახლოეს დღეებში გამოწერენ კლინიკიდან. კანკავა და კობახიძე პირველივე შეკრებაზე შეუერთდებიან „დნიპროს“.

კახა შალამბერიძე

კაცური კაცი

ტერიმ (№6) ამერიკელების გატანა და შვებულებაში თავწყალი გავიდა

ჯონ ტერიმ მოსკოვური ცრემლი ლონდონური ღიმილით შეცვალა — „ჩელსის“ კაპიტანმა ინგლისის ნაკრების მაისურით ამერიკელებს გაუტანა გოლი.

მაშ ასე, „ლუჟნიკიზე“, ჩემპინთა ლიგის ფინალში ვერგატანილი საბედისწერო პენალტიდან შვიდ დღეში ტერი უკვე ფაბიო კაპელოს თეთრმაისურიან გუნდს, უფრო გასაგებად და სწორად კი, თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს კაპიტნობდა და მაყურებელს იქ აჩვენა, რომ გაუტეხელი სულის ადამიანია.

„დღეს დავამტკიცე, რომ კაცური კაცი ვარ — განაცხადა თავად ტერიმ მატჩის დამთავრების შემდეგ — მოსკოვში მომხდარზე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ, მაგრამ აქ, „უემბლიზე“ დავამტკიცე, რომ სწორედ ის ადამიანი ვარ, რომელსაც დიდ თამაშებში უნდა ენდო. არ დაგიმალავთ, ინგლისის ნაკრებში „მანჩესტერ იუნაიტედის“ იმდენი ფეხბურთელია, რომ დღეს აქ ნამდვილად არ მინდოდა ყოფნა, მაგრამ გოლი გავიტანე და ამან მორალური მდგომარეობა გამიმყარა. მერედა, როდესაც მწვრთნელმა მითხრა, რომ კაპიტანი ვიქნებოდი (მოგეხსენებათ, ფაბიო კაპელომ წინა შეხვედრაში რიო ფერდინანდი აკაპიტნა) გავმხნევდი. იმედი მაქვს, ჩემი თამაშით მადლობა სრულად გადავუხადე.

საბოლოოდ, ბედნიერი ვარ, ამ შეხვედრაში რომ მივიღე მონაწილეობა. ამ მატჩმა მიხსნა მთელი ზაფხულის განმავლობაში მოსკოვში აცილებულ პენალტზე ფიქრისგან. ამ გოლს მე ფანებს, უპირველეს ყოვლისა კი, „ჩელსის“ ფანებს ვუძღვნი. ისინი ძლიერ ამომიდგნენ მხარში“.

რამდენადაც ცნობილია, ფაბიო კაპელომ ტერი კვირის მატჩისგან გათავისუფლა, კვირას კი ინგლისელები ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებს ეთამაშებიან. მიზეზი: სჯობს, კაპიტანმა დაისვენოს და ბოლო დროს დაგროვებული მუხტისგან დაიცალოს.

„მიხარია, ტერიმ გოლი რომ გაიტანა — თქვა თავის მხრივ ინგლისელთა იტალიელმა მწვრთნელმა — როდესაც ის კაპიტნობს, „ჩელსიში“ თუ ნაკრებში, ნამდვილი ლიდერია. ამ გოლის გატანა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ახლა შეუძლია, გემრიელად დაისვენოს“.

ინგლისელებისა და ამერიკელების შეხვედრაში კიდევ მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ სერ ბობი ჩარლტონმა დევიდ ბექემს მეასე სანაკრებო შეხვედრის აღსანიშნავად ოქროს კეპი გადასცა — გეხსომებათ, ბექემმა ინგლისელთა ეროვნულ გუნდში მეასე თამაში მარტში, პარიზში ჩაატარა.

მაგრამ ბექემმაც ჯონ ტერიზე ილაპარაკა: „მისი ასეთი თამაში დღეს სულაც არ იყო გასაკვირი. ნაკრებში ის ყოველთვის ჩინებულად თამაშობს. ბუნებრივია, გასულ კვირაში მომხდარმა მასზე იმოქმედა და ეს ერთხანს კიდევ გაჰყვება, მაგრამ თანდათანობით ყველაფერს მოევლება. დღეს კი ყველამ დავინახეთ, თუ რა კაცია და რა ფეხბურთელი. მისებრ ძლიერ პიროვნებას ხშირად არ გადავყრივარ. მისმა გოლმა ყველა ჩვენგანი გაახარა“.

პაპუნა კედია

გარი ნევილი — ლივერპულის ფანი

ძალიან სასაცილო რამ მოხდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავის, გარი ნევილის მშენებარე სახლში. ნუ, რასაკვირველია, იმას, რასაც ნევილი იშენებს, სახლი პირობითად ჰქვია, ეს უფრო მამულია, მდიდრული კარ-მიდამო, მაგრამ ამას ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენი ისტორია ნევილის საცურაო აუზს ეხება, რომელსაც „კაფელშჩიკი“ ძმები ბრაიან და გარი გრინები აპირკეთებდნენ.

ისტორია ასეთია: ძმები გრინები მერსისაიდელები არიან, „ლივერპულის“ ფანები და „იუნაიტედის“ ვარსკვლავის სახლის მშენებლობისას მათ ასეთი ხუმრობა მოუვიდათ თავში:

„ნევილ-ნევილ ლენდში აუზის კაფელით მოსაპირკეთებლად დაგვიქირავეს. ჰოდა, სანამ იქ ვიყავით, ავიღეთ „ლივერპულის“ შარფი, გაზეთი და პროგრამა და ცელოფნის პარკში კარგად შეხვეული, აუზის ფსკერზე, მოხერხებულ ადგილზე დავმარხეთ, ზემოდან კი კაფელი გადავაგეთ. წლების შემდეგ, როდესაც ამ სახლს დაანგრევდნენ, არქეოლოგები აღმოაჩენდნენ „ლივერპულის“ სიმბოლიკას და მიხვდებოდნენ, სინამდვილეში ვისი სიყვარულით იყო შეპყრობილი სახლის პატრონი“ — თქვა „კაფელშჩიკმა“ ბრაიანმა.

მათთვის, ვინც არ იცის: აქ იუმორს ისიც აძლიერებს, რომ გარი ნევილი „ლივერპულის“ მოძულე ადამიანად არის ცნობილი და ორი წლის წინ, მერსისაიდელთა კარში გატანილი გოლის მეტად თავისებურად აღნიშვნისთვის 5 ათასი გირვანქითაც კი დააჯარიმეს.

საბოლოოდ „კაფელშჩიკების“ ანგლობა გახმაურდა, ოღონდ, არ ვიცით, როგორ. გარი ნევილს თავად არ გაუკეთებია არანაირი კომენტარი, მისმა მეგობრებმა კი თქვეს, გაბრაზდაო.

პაპუნა კედია





მილანი ფასდაკლებას ითხოვს

ჯანლუკა ძამბროტა

იტალიური „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კლუბის სამომავლო გეგმები გაგვანდო და იმაზე ისაუბრა, რომ ფეხბურთელები, რომელთა შეძენასაც მილანელები აპირებენ, მეტისმეტად ძვირები-არიან. „როსონერის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჯანლუკა ძამბროტაა. „ბარსელონასა“ და იტალიის ნაკრების მცველს სამშობლოში დაბრუნება სურს, მაგრამ მილანელები კატალონიელებთან მორიგებას ჯერ ვერ ახერხებენ.

„ჩვენს წინადადებასა და „ბარსელონას“ სურვილს შორის სხვაობა დაახლოებით 2 მილიონი ევროა. ფეხბურთელს „მილანში“ თამაში სურს და ეს კატალონიელებმა კარგად იციან. იმედია, მალე შეთანხმებას შევძლებთ“ — თქვა გალიანიმ.

„მილანს“ „ბარსელონას“ კიდევ ორ ფეხბურთელს უკაშირებდნენ — რონალდინიოსა და სამუელ ეტოოს. ბრაზილიელზე უკვე აღარ ლაპარაკობენ, აი, კამერუნელის ხელში ჩაგდებას კი „როსონერი“ ისევ ლამობს.

„ბარსელონა სავაჭროდ ძალიან ძვირი აღგილია — ამბობს გალიანი — როგორც კი ვინმეს თვალს დააღგამ, ისინი 30, 45 ან 60 მილიონს ევროს გთხოვენ, ასეთი თანხები კი ნებისმიერი ბიუჯეტისთვისაა მიუღებელი“.

„მილანს“, რომელსაც დიდიე დროგბასაც უკავშირებენ, ფორვარდი ნამდვილად სჭირდება, რადგან გუნდს რონალდო ტოვებს და ალბერტო ჯილარდინო უკვე წავიდა.

ადრიანო გალიანი: „რონალდო მიდის, ჯილარდინო კი „ფიორენტინაში“ გადავიდა. ცხადია, თავდამსხმელები გვჭირდება. დროგბა და ეტოო ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, მაგრამ ამავდროულად, ძალიან ძვირები. მარკო ბორიელო? თუ დაბრუნდება, არ მგონია, ისევ წავიდეს. მას ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელობა უნდა? მე მწვრთნელი არ ვარ. თუ მარკო ჩამოვა, 6 ფორვარდს შორის [illegible] ქნება და დანარჩენ[illegible] მისი ამბავი დაახლოებით ერთი თვის მერე გადაწყდება“.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტის თქმით, თუ გუნდის მესამე მეკარე კრისტიან აბიატი „როსონერის“ დატოვებს, კლუბი ამ შემთხვევაში ახალ გოლკიპერს დაიმატებს. მილანელები უგო ლორისით ყოფილან დაინტერესებულნი, მაგრამ თუ აბიატი, დარჩება ყველაფერი უცვლელი იქნება და მის გარდა ჩვენი მეკარეები ისევ ნელსონ დიდა და ჟელკო კალაჩი იქნებიანო.

გალიანიმ საუბარი ანდრეი შევჩენკოს თემით დაასრულა — „სან სიროზე“ უკრაინელის დაბრუნების საკითხი ჯერაც აქტუალურია.

„ამავდროულად, შევჩენკოს შესახებ „ჩელსისთან“ მოლაპარაკებას ვაგრძელებთ. თუმცა ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. „შევას“ დაბრუნება უნდა, ლონდონელებმა კი იციან, რომ თუ გარკვეულ დათმობებზე წავლენ, ტრანსფერი შედგება“ — დასძინა გალიანიმ.

ძოძი ძანდელაძი

ბოკას რიკელმეს დუბლი არ ეყო

ლიბერტადორესის თასი 2008

ნახევარფინალი. პირველი მატჩი

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:2 ფლუმინენსე (ბრაზილია)

1:0 რიკელმე (11), 1:1 ტიაგუ სილვა (15), 2:1 რიკელმე (64), 2:2 ტიაგუ ნევეში (76)

ბოკა ხუნიორსი: მილიორე, კასერესი, პალეტა, მორელ როდრიგესი, მაიდანა (იბარა 60), ბატალია (ფ. ვარგასი 75), დატოლო, ჩავესი (ნ. კარდოსო 65), რიკელმე, პალერმო, პალასიო

მწვრთნელი: კარლოს იშია

ფლუმინენსე: ფერნანდუ ენრიკე, ტიაგუ სილვა, ლუიშ ალბერტუ, მაურისიუ (რომეუ 62), არუუკა, სისერო, ჟუნიორ სეზარი, ტიაგუ ნევეში (როჟერი 87), გაბრიელი, დარია კონსა, ვაშინგტონი (დოდო 76)

მწვრთნელი: რენატუ გაუჩუ პორტალუპი

გაფრთხილება: ჩავესი, ჟუნიორ სეზარი, რომეუ, რიკელმე, კასერესი, არუუკა, ფერნანდუ ენრიკე

მსაჯი: რობერტო სილვერა (ურუგვაი)

52 000 მაყურებელი

ლიბერტადორესის თასის ექვსგზის მფლობელმა და მოქმედმა გამარჯვებულმა „ბოკა ხუნიორსმა“ შინ ბრაზილიურ „ფლემინენსესთან“ ფრედ, 2:2 ითამაშა, რაც არგენტინული კლუბისთვის საპასუხო მატჩის წინ კარგი შედეგი ნამდვილად არ არის.

შინო, კი ვამბობთ, მაგრამ „ბოკას“ საკუთარ „ბომბონერაზე“ არ უთამაშია, რადგან ტურნირის წინა ეტაპზე იქაურმა ფანებმა ლაინსმენს ყინულის ნატეხი მოარტყეს და „ბოკა“ სტადიონის დისკვალიფიკაციით დაისაჯა. თამაში 52 ათასი ქომაგის თვალწინ აველიანედაში, „რასინგის“ კუთვნილ „პრეზიდენტ პერონის“ მოედანზე ჩატარდა.

ცივ, ქარიან ამინდში „ბოკა“ მე-12 წუთზე დაწინაურდა თავისი ლიდერის, ხუან რომან რიკელმეს კარგი თამაშის წყალობით. აქედან სამ წუთში ანგარიში გათანაბრდა — ტიაგუ სილვამ ტიაგუ ნევეშის ჩაწოდებულს თავური შეაგება.

არგენტინელები უკეთ გამოიყურებოდნენ და უპირატესობას ფლობდნენ, ერთ-ერთ ეპიზოდში მათ ძელსაც გაარტყეს ბურთი. საბოლოოდ, საწადელს 65-ე წუთზე მიაღწიეს, როცა რიკელმემ ჯარიმიდან, მცირე რიკოშეტის დახმარებით გაიტანა და დუბლი გაიფორმა.

მასპინძლებმა ვერც სხვაობის გაზრდა შეძლეს და ვერც ანგარიშის შენარჩუნება. სტუმრებმა „ბოკას“ მეკარის პაბლო მილიორეს შეცდომის წყალობით გაათანაბრეს. 71-ე წუთზე ნევეშმა დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა, მილიორემ კი ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და — 2:2.

ერთი სიტყვით, „ფლუმინენსეს“ კარგი შანსი აქვს, ისტორიაში პირველად გავიდეს ლიბერტადორესის თასის ფინალში.

ძოძი ძანდელაძი

რა ბედი ელის ანტონიო კასანოს?

ანტონიო კასანომ გასული სეზონი „სამპდორიაში“ დიდებულად ჩაატარა და მას რომ გენუელთა რიგებში დარჩენა სურს, არახალია. „ხულიგანი“ მზადაა, ხელფასი საგრძნობლად შეიმციროს კიდეც. ცხადია, მისი შენარჩუნება „სამპდორიასაც“ სურს.

გენუელებს მადრიდის „რეალისგან“ მისი გამოსყიდვა უნდოდათ, მაგრამ, შესაძლოა, ეს ვერ მოხერხდეს, რადგან „რეალი“ 25 წლის ფეხბურთელს გროშებად არ შეელევა. გავრცელებული ინფორმაციით, მადრიდელებს ეშინიათ, რომ „სამპდორია“ კასანოს ბოლომდე გამოიყიდის და მერე, გაცილებით დიდ თანხად მიჰყიდის ტურინის „იუვენტუსს“.

გარდა ამისა, თუ კასანო ევრო 2008-ზე წარმატებულად ითამაშებს, მისი ფასი ერთიორად გაიზრდება.

„ხულიგანის“ აგენტი ჯუზეპე ბოცო „რეალის“ უფროსობასთან შეხვედრებს აგრძელებს. აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ამჟამად ყველაზე რეალური ვარიანტი ის გახლავთ, რომ კასანო გენუელთა რიგებში იჯარის წესით კიდევ ერთი სეზონი დარჩება. „სამპდორია“ მისი ხელფასის მესამედს დაფარავს, დანარჩენს კვლავ „რეალი“ გადაიხდის და თავდამსხმელზე უფლებებსაც შეინარჩუნებს.

ერთი, რაშიც „სამპდორიას“ ხელმძღვანელებს ეჭვი არ ეპარებათ, ის არის, რომ კასანო მომავალ სეზონშიც გენუელთა მაისურით ითამაშებს — ამაში 99,9 პროცენტით ვართ დარწმუნებულიო.

ძოძი ძანდელაძი

ავაზა ლაჟვარდოვანი სანაპიროდან

ბაფეტიმბი გომისი

„ამაღამ ალბათ არ დამეძინება“ — თქვა რაიმონ დომენეკმა ეკვადორთან მოგებული მატჩის შემდეგ, რადგან მეორე დღეს 30-კაციანი სიიდან 7 გვარი უნდა წაეშალა.

ნაკრების მწვრთნელმა ფრანგი ჟურნალისტები ჯერ იმით გააკვირვა, რომ ოცდაათ კაცში, ამ სეზონში 20 გოლის გამტანი იუვენტუსელი დავიდ ტრეზეგე არ შეიყვანა. ოთხშაბათს კი მედიას კიდევ უფრო მეტი სალაპარაკო მისცა, რაკი ევრო 2008-ზე წამსვლელთა ნუსხაში ბაფეტიმბი გომისის გვარი ჩაწერა.

მაგრამ თვითონ დომენეკი იყო გაკვირვებული იმით, რაც 22 წლის ფორვარდმა ეკვადორთან შეძლო — შეცვლაზე შესულმა ორი ულამაზესი გოლი გაიტანა. ასეთი დებიუტი აქამდე მხოლოდ ზინედინ ზიდანს ჰქონდა.

აი, ასე — პირველი მატჩი ნაკრებში, დუბლი 27 წუთში და ბაფეტიმბი გომისი ევროპის ჩემპიონატზე მიბრძანდება. მან სახლში ჯიბრილ სისე დატოვა, ვინც ამ სეზონის ყველა ტურნირში 22 გოლი შეაგდო.

„გოლები და გამარჯვება სასიამოვნოა, მაგრამ მთავარია, რომ გუნდში უმალ ჩევეწერე — თქვა ფორვარდმა, ვისაც დროგბას ადარებენ — თანაგუნდელებმა კარგად მიმიღეს და ჩემი ასეთი დებიუტი მათი დამსახურებაა“.

22 წლის ბაფეტიმბი გომისი „სენტ-ეტიენის“ ფეხბურთელია და გასულ სეზონში 16 გოლი მიითვალა. მისი კარგი თამაშის წყალობით გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა და უეფას თასის საგზური მოიპოვა.

გულშემატკივრებმა ფორვარდს მეტსახელად „ავაზა“ შეარქვეს, რადგან გოლს ასე ზეიმობს: ოთხზე დადგება და ხელს ისე იქნევს, როგორც ავაზა, რომელიც ბრჭყალებიანი თათით ჰაერს კვეთს.

გომისი სენეგალელია, დაბადებული სამხრეთ საფრანგეთში, ლაჟვარდოვან სანაპიროზე, სეენ-სიურ-მერში. „სენტ-ეტიენში“ 15 წლიდან თამაშობს. მისი დებიუტი ძირითად შემადგენლობაში 2003-ში შედგა, როცა გუნდი მეორე დივიზიონში იყო და 11 მატჩში ორი გოლი შეაგდო.

მომდევნო სეზონში „ტრუაში“ გაანათხოვრეს და იქ ექვსჯერ გამოიჩინა თავი. მერე დაიბრუნეს, მაგრამ 78 შეხვედრაში 14-ზე მეტი გოლი ვერ გაიტანა, თუმც გასული სეზონი საუცხოოდ ჩაატარა, 16 გოლი გაიფორმა და აგერ, ნაკრების მაისურაც მოირგო.

მაისის დასაწყისში გომისმა განაცხადა: „ჯერ არ გადამწყვეტია, სენეგალის ნაკრებს ავირჩევ თუ საფრანგეთისას, რადგან არცერთისგან მოწვევა არ მიმიღია. ისე კი საფრანგეთი მირჩევნია და თუ გამომიძახებენ, საწინააღმდეგო არაფერი მექნება“.

რაიმონ დომენეკმა 18 მაისს გამოიძახა და ათ დღეში „ავაზამ“ ავსტრია-შვეიცარიის ვიზა აიღო.

ვაჟა ხუციშვილი

ერნესტო ვალვერდე ოლიმპიაკოსშია

რამდენიმე დღის წინ „ესპანიოლიდან“ წასული ერნესტო ვალვერდე ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელი გახდა. მან ამ პოსტზე თანამემამულე ხოსე სეგურა შეცვალა, რომელმაც გასულ სეზონში პირეოსელებს ქვეყნის ჩემპიონობაც მოაპოვებინა და თასიც.

ბერძნული ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ვალვერდემ „ოლიმპიაკოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის მანძილზე დაახლოებით 4 მილიონ ევროს მიიღებს.

პალერმოს შენაძენები

სიცილიურმა „პალერმომ“ ორი ფეხბურთელი დაიმატა: „ემპოლიდან“ — მცველი ანდრეა რაგი, „ფიორენტინადან“ — ნახევარმცველი ფაბიო ლივერანი. შეგახსენებთ, რომ „როზანერომ“ ორი წამყვანი მცველი, კრისტიან ძაკარდო და ანდრეა ბარცალი ახლახან „ვოლფსბურგს“ მიჰყიდა.

სიცილიელები კიდევ აპირებენ ახალი მოთამაშეების შეძენას. მით უმეტეს, რომ გუნდიდან ამაურის წასვლაც თითქმის გადაწყვეტილია.

სერია A დაიგეგმა

„ლეგა კალჩომ“ უკვე დაადგინა, რომ სერია A-ს 2008-2009 წლების სეზონი 31 აგვისტოს დაიწყება და 31 მაისს დასრულდება. შუაკვირის ტურები 24 სექტემბერს, 28 ოქტომბერსა და 28 იანვარს ჩატარდება. ტურები არ ჩატარდება 7 სექტემბერს, 12 ოქტომბერსა და 29 მარტს, სანაკრებო თამაშების გამო. ზამთრის შესვენება 28 დეკემბრიდან 4 იანვრამდე გასტანს.

იტალიის თასი კი 9 აგვისტოს დაიწყება და 13 მაისს დამთავრდება.

გიორგი ძაძაბაძე

თამაში შედგება

ავსტრალიის ნაკრები ერაყთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევს ჩვეულებრივად ითამაშებს, როგორც თავიდან იყო დაგეგმილი — ფიფამ ერაყელებს დროებით მოუხსნა დისკვალიფიკაცია. გეხსომებათ, ორშაბათს ფიფამ აზიის ჩემპიონს თამაში იმიტომ აუკრძალა, რომ ამ ქვეყანაში მთავრობამ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაშალა.

მაგრამ, როგორც დასაწყისშივე მოგახსენეთ, მოგვიანებით, მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ საკუთარი სანქცია გააუქმა. მიზეზი: ერაყის მთავრობამ მას წერილობით გაუგზავნა მტკიცება იმისა, რომ სინამდვილეში ოლიმპიური კომიტეტი არ გაუუქმებია. ერთი სიტყვით, ავსტრალია ერაყს ეთამაშება, რაც იმას ნიშნავს, რომ კენგურუთა სამშობლოში დაახლოებით 3 მილიონი დოლარის ზარალს გადარჩნენ.

„ეს დიდებული ცნობაა“ — გაიხარა ავსტრალიელთა ფეხბურთის ფედერაციის შეფმა ბენ ბაკლიმ.

პაპუნა კედია

პაველ პოგრებნიაკმა გაიტანა და გაიტანეს

ამხანაგური მატჩი

რუსეთი 2:1 სერბეთი

1:0 პოგრებნიაკი (12), 1:1 პანტელიჩი (41), 2:1 პავლიუჩენკო (48)

რუსეთი: აკინფეევი, ანიუკოვი (ვ. ბერეზუცკი 46), კოლოდინი, სემაკი, შიროკოვი, ზირიანოვი, სემშოვი (საენკო 82), ბილიალეტდინოვი (ტორბინსკი 71), ჟირკოვი (იანბაევი 80), სიჩოვი (ბისტროვი 66), პოგრებნიაკი (პავლიუჩენკო 15)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

30 000 მაყურებელი

პავლიუჩენკოს (№19) გამარჯვების თავური

რუსეთის ნაკრებმა ექვს დღეში ორი ამხანაგური მატჩი მოიგო: ჯერ ყაზახეთი 6:0 დაამარცხა, ოთხშაბათს კი ბურგჰაუზენში სერბეთს შეცვლილ-შემცვლელის გოლებით სძლია.

გუს ჰიდინკის გუნდს ევროპის ჩემპიონატზე პირველი შეხვედრა 10 ივნისს ესპანეთთან ელის და ჰოლანდიელი საამმატჩო თერთმეტეულის ძიებაშია.

ყაზახეთთან ნათამაშები შემადგენლობიდან ბურგჰაუზენში რუსებს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დააკლდათ. მარჯვენაფლანგელი ვლადიმირ ბისტროვი დაშავდა და მისი ადგილი დმიტრი სიჩოვმა დაიკავა.

ანგარიში პაველ პოგრებნიაკმა საჯარიმო დარტყმით გახსნა: დაახლოებით 25 მეტრიდან დაჰკრა და ბურთი ძელიდან კარში შევარდა. პოგრებნიაკმა მალე ტრავმა მიღო და რომან პავლიუჩენკოთი შეცვალეს.

იგორ სემშოვსაც შეეძლო საჯარიმოთი სხვაობის გაზრდა, მაგრამ სერბთა მეკარემ იყოჩაღა. ტაიმის მიწურულს მარკო პანტელიჩმა გაათანაბრა — ზირიანოვის და შირკოვის შეუთანხმებლობით ისარგებლა და აკინფეევთან პირისპირ გასულმა გაიტანა.

შესვენებამდე წამებით ადრე, სერგეი სემაკის დარტყმული ბურთი ნემანია ვიდიჩმა კარის ხაზზე მოიგერია.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე რუსები ისევ დაწინაურდნენ — სიჩოვის ჩაწოდებული პავლიუჩენკომ ერთი შეხებით ბადეში შეაგდო. გოლიდან რამდენიმე წუთში კი ვასილი ბერეზუცკი შეცდა: ბურთი შირკოვს უკან დაუბრუნა, სლობოდან რაიკოვიჩმა პასი ჩაუჭრა, მაგრამ მისმა დარტყმულმა ძელთან ჩაიქროლა.

გუს ჰიდინკმა ნამატჩევს განაცხადა: „შეკრება ათი დღის წინ დავიწყეთ და პროგრესს უკვე ვხედავ. თითოეულმა ფეხბურთელმა შეიგნო, რომ ევროპის ჩემპიონატზე კონკურენციისთვის ასპროცენტიანი მზადყოფნაა საჭირო. სერბეთი კი ძლიერი მეტოქეა და ჩვენი პლუს-მინუსები დაგვანახა“.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რაოდენ მძიმეა პაველ პოგრებნიაკის ტრავმა. გუნდებს ერთი ფეხბურთელის შეცვლის უფლება პირველ მატჩამდე აქვთ და თუ ზენიტელი 10 ივნისამდე ვერ გამოკეთდება, მის ადგილს სხვა დაიკავებს.

ჩემპიონატის დაწყებამდე ბოლო ამხანაგურ შეხვედრას რუსეთი 4 ივნისს ლიტვასთან გამართავს.

ვაჟა ხუციშვილი

ევრო 2008. მონაწილეთა განაცხადები

A ჯგუფი

შვეიცარია

მეკარეები

- 1 ---- დიეგო ბენალიო ---------- ვოლფსბურგი, გერმანია ---------- 08.09.83
18 ---- პასკალ ცუბერბიულერი ---------- ქსამაქსი ---------- 08.01.71
21 ---- ელდინ იაკუპოვიჩი ---------- გრასჰოპერი ---------- 02.10.84

მცველები

- 2 ---- იოან ჯურუ ---------- არსენალი, ინგლისი ---------- 18.01.87
- 3 ---- ლუდოვიკ მანინი ---------- შტუტგარტი, გერმანია ---------- 20.04.79
- 4 ---- ფილიპ სენდეროსი ---------- არსენალი, ინგლისი ---------- 14.02.85
- 5 ---- შტეფან ლიხტშტაინერი ---------- ლილი, საფრანგეთი ---------- 16.01.84
13 ---- შტეფან გრიხტინგი ---------- ოსერი, საფრანგეთი ---------- 30.03.79
17 ---- კრისტოფ შპიხერი ---------- აინტრახტი, გერმანია ---------- 30.03.78
20 ---- პატრიკ მიულერი ---------- ლიონი, საფრანგეთი ---------- 17.12.76
23 ---- ფილიპ დეგენი ---------- ლივერპული, ინგლისი ---------- 15.02.83

ნახევარმცველები

- 6 ---- ბენიამინ ჰუგელი ---------- ბაზელი ---------- 07.07.77
- 7 ---- რიკარდო კაბანიასი ---------- გრასჰოპერი ---------- 17.01.79
- 8 ---- გიოქჰან ინლერი ---------- უდინეზე, იტალია ---------- 27.06.84
10 ---- ჰაქან იაკინი ---------- იანგ ბოისი ---------- 22.02.77
14 ---- დანიელ ჟიგა ---------- მეცი, საფრანგეთი ---------- 28.08.81
15 ---- ულსონ ფერნანდესი ---------- მანჩესტერ სიტი, ინგლისი ---------- 02.09.86
16 ---- ტრანკილიო ბარნეტა ---------- ლევერკუზენი, გერმანია ---------- 22.05.85
19 ---- ვალონ ბეჰრამი ---------- ლაციო, იტალია ---------- 19.04.85
22 ---- იოჰან ფონლანტენი ---------- ზალცბურგი, ავსტრია ---------- 01.02.86

თავდამსხმელები

- 9 ---- ალექსანდრ ფრაი ---------- დორტმუნდი, გერმანია ---------- 15.07.79
11 ---- მარკო შტრელერი ---------- ბაზელი ---------- 18.06.81
12 ---- ერენ დერდიოკი ---------- ბაზელი ---------- 12.06.88

მწვრთნელი: იაკობ კუნი (64)

ჩეხეთი

მეკარეები

- 1 ---- პეტრ ჩეხი ---------- ჩელსი, ინგლისი ---------- 20.05.82
16 ---- იარომირ ბლაჟეკი ---------- ნიურნბერგი, გერმანია ---------- 29.12.72
23 ---- დანიელ ჟიტკა ---------- ანდერლეხტი, ბელგია ---------- 20.06.75

მცველები

- 2 ---- ზდენეკ გრიგერა ---------- იუვენტუსი, იტალია ---------- 14.05.80
- 5 ---- რადოსლავ კოვაჩი ---------- სპარტაკი, რუსეთი ---------- 27.11.79
- 6 ---- მარეკ იანკულოვსკი ---------- მილანი, იტალია ---------- 09.05.77
12 ---- ზდენეკ პოშპეხი ---------- კოპენჰაგენი, დანია ---------- 14.12.78
13 ---- მიხალ კადლეცი ---------- სპარტა ---------- 13.12.84
18 ---- ტომაშ შივოკი ---------- სპარტა ---------- 15.09.83
21 ---- ტომაშ უიფალუში ---------- ფიორენტინა, იტალია ---------- 24.03.78
22 ---- დავიდ როზენალი ---------- ლაციო, იტალია ---------- 05.07.80

ნახევარმცველები

- 3 ---- იან პოლაკი ---------- ანდერლეხტი, ბელგია ---------- 14.03.81
- 4 ---- ტომაშ გალაშეკი ---------- ნიურნბერგი, გერმანია ---------- 15.01.73
- 7 ---- ლიბორ სიონკო ---------- კოპენჰაგენი, დანია ---------- 01.02.77
ორი თვეა, გიორგი შერმადინი ამერიკაშია და ნბა-ს დრაფტისთვის ემზადება. მას იდეალური სავარჯიშო პირობები აქვს და აგენტ ტოდ რამასარის წყალობით, ამერიკის ერთ-ერთ ცნობილ სპეციალისტთან, ჯო აბუნასართან იწვრთნება. აბუნასარს საკუთარი საკალათბურთო დარბაზი აქვს, სადაც შერმადინთან ერთად კარსმომდგარი დრაფტისთვის 30-ამდე ახალგაზრდა ემზადება. ამ დარბაზში პერიოდულად მოდიან ნბა-ს გუნდების წარმომადგენლები, მწვრთნელები, ჟურნალისტები და გამორჩეული ახალგაზრდების გვარებს ინიშნავენ. ამ დღეებში აბუნასარის მოსამზადებელ ცენტრს სკაუტთა მორიგი დესანტი ეწვია, რომლებმაც იქ ნანახი ბიჭებისგან 6 გამოარჩიეს და მათი დაწვრილებითი დახასიათება drafte.press.com-ზე წარმოადგინეს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ის სტატია გადმოვაქართულეთ, რომელიც შერმადინს ეძღვნებოდა...

შერმადინს ისეთი დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორც პირველ დღეს. თითქოს მისთვის დათარსული დღე იყო, რადგან სროლაში მოიკოჭლებდა და ფარქვეშ იმდენად ეფექტური არ იყო, მისებრ ათლეტური სხეულის მქონე მოთამაშეს რომ შეეფერება.

და მაინც, მეორე დღეს შერმადინმა ბევრი რამ გვანახა. მიუხედავად იმისა, რომ მას თამაშის მხოლოდ სამწლიანი გამოცდილება აქვს (როგორც იტყობინებიან), შერმადინი საკმაოდ ჩამოყალიბებული კალათბურთელი ჩანს. მას აქვს ძალიან კარგი მოძრაობები და ფლობს ცენტრისთვის აუცილებელ ილეთებს, რაც მის ფარქვეშა პოტენციალს ამაღლებს.

შერმადინს შეუძლია როგორც პირისპირ, ასევე ფართან ზურგით მდგარს თამაში. კოორდინაცია ამაში ხელს უწყობს, მაგრამ ამ მხრივ კიდევ ბეკრი სამუშაო აქვს. სამწამიანში იგი საკმაოდ კარგად მოძრაობს და განსაკუთრებით კარგად გამოსდის ფარისკენ ბუქნით ნაბიჯის გადადგმა, ნახევრადბრუნით ბურთის ჩაგდება. ფარს თანაბარი შედეგიანობით უტევს როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხრიდან და აქვს ფარის დალაშქრის გამორჩეული ალღო.

პერიმეტრზე შერმადინი სახიფათოა. მას ძალიან კარგი მიზანი აქვს და სამქულიანებსაც საკმაოდ შედეგიანად ისვრის. უბურთოდ კარგად მოძრაობს და შეუძლია მოძრაობაში ბურთის ცალი ხელით მიღება. შერმადინს აქვს პიკენროლის (საკალათბურთო ფანდია) თამაშის საკმაოდ დიდი გამოცდილება, ასევე შეუძლია, თავისი ზომა-წონის მეტოქე ერთი მოძრაობით ჩამოიშოროს.

მის მინუსებზე ლაპარაკი საშუალოზე დაბალი ფიზიკური განვითარებით უნდა დავიწყოთ. მას აქვს ათლეტური ტანი, მაგრამ არა იმდენად ძლიერი, რომ მეტოქეები იოლად დაჯაბნოს ორმხრივ, კონტაქტურ თამაშში. ის არც ისეთი სწრაფია, რომ პერიმეტრზე ასვლა და მეტოქისთვის სამქულიანის სროლაში ხელის შეშლა მოასწროს. ის შეზღუდულია დაცვაში და ფარქვეშ სათავისოდ კომფორტული ადგილის შერჩევა უძნელდება. სამაგიეროდ, მას წინსვლის უნარი აქვს და აუცილებლად უნდა შეიმატოს ძალა, რადგანაც ფარქვეშ თავისზე საკმაოდ ათლეტური და ძლიერი ოპონენტები შეხვდება.

აღსანიშნავია, რომ შერმადინი შესვენების გარეშე თამაშობდა, განსხვავებით სტუდენტური ლიგის კალათბურთელებისგან. ის არ იღლება და შეუძლია მთელი თამაშის განმავლობაში აქეთ-იქით სირბილი. მართალია, ის არაა ძალისმიერი მოთამაშე, მაგრამ სუსტი კალათბურთელის შთაბეჭდილებასაც არ ტოვებს. მოკლედ, ის ამტანია.

ჩვენ გვქონდა საშუალება, შერმადინის საქართველოს ჩემპიონატში ნათამაშევი მატჩები გვენახა, თუმცა იქ ისეთი დაბალი დონეა, რომ ბევრიც ვერაფერი აღმოვაჩინეთ. მაგრამ ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. ბევრ ადგილას ლაპარაკი, არც ერთი არ იყო დარწმუნებული, რომ ის მართლაც 19 წლისაა. მისი მთავარი მინუსი ისაა, რომ არაა სათანადოდ ცნობილი. ყველაზე დიდი გამოცდა კი მისთვის რეალური, ხუთი ხუთზე თამაში იქნება. ჩვენ ველოდებით წინასადრაფტო კემპს, რათა სხვებთან ერთად შერმადინის თამაშიც ვნახოთ (თუკი მიეცემა მას ამის შანსი). არადა, იტალიაში, ქალაქ ტრევიზოში 6 ივნისს იწყება „რიბოკის“ კემპი, სადაც თითქმის ყველაფერს აეხდება ფარდა.

ჩვენ შეიძლება ზედმეტად სკეპტიკურად ვუყურებდეთ მოთამაშეებს და ამიტომ კარგი იქნება სხვა ადამიანების აზრის გაგებაც. შერმადინის ვარჯიშს 20 წუთით თვალი ადევნა „დალას მავერიკსის“ მცველმა ჯეისონ ტერიმ, რომელმაც ქართველი ცენტრის შეფასებისას ქათინაურები არ დაიშურა.

ბოლოს თავად ჯო აბუნასარსაც დაველაპარაკეთ, რომელმაც შერმადინზე ეს გვითხრა:

„საკმაოდ კარგად დახელოვნებული ევროპელია. რაც აქ ჩამოვიდა, მას შემდეგ კუნთები 15 ფუტით გაეზარდა. სწრაფად დარბის და მიზანიც ჩინებული აქვს. ბეჯითი, თავდაუზოგავად მშრომელია და დღითი დღე ვითარდება. ფარის მისადგომებთან კარგად მოძრაობს, აქვს პოზიციის შერჩევის და ზუსტი სროლის კარგი ალღო“.

NBA პლეი ოფი. ნახევარფინალი



ბოსტონმა ფინალი და ლეიკერსი დალანდა

28 მაისი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 3:2 დეტროიტი

ბოსტონი 106:102 დეტროიტი

ბოსტონი: რონდო (7 ქულა, 6 მოხსნა, 13 პასი, 4 ჩაჭრა), ალენი (29), პირსი (16), გარნეტი (33), პერკინსი (18 ქულა, 16 მოხსნა); პოუზი (3), ბრაუნი, კასელი, პაუსი

დეტროიტი: ბილაფსი (26), ჰამილტონი (25), პრინსი (8), მაკდაიესი (4), ვოლეესი (18); სტაკი (13), მაქსეილი (6), რეთლიფი (2), პანტერი

ერთი ნაბიჯი, ერთი ხელის გაწვდენა, ერთი გაბრძოლებაღა დარჩა და 16-გზის ჩემპიონი „ბოსტონ სელტიქსი“ 1987 წლის შემდეგ პირველად მოხვდება ფინალში, სადაც, სავარაუდოდ, შეხვდება ვინმეს კი არა, თავის ისტორიულ „მოსისხლე“ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“, რომელიც დასავლეთის ფინალში 3:1 უგებს ჩემპიონ „სან ანტონიოს“.

„კელტებმა“ შინ უდაბულეს ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი თამაში მოუგეს „დეტროიტს“. მგონი, პირველად ამ პლეი ოფში, „ბოსტონის“ სამივე სუპერვარსკვლავმა ერთდროულად იფეთქა და ამ ორი „კარჩაკეტილი“ და დაცვაშეჭედილი გუნდის ეს თამაშიც ამად გამოდგა ასე გულუხვი. პირსს მხოლოდ 16 ქულა მოუგროვდა, მაგრამ სამაგიეროდ გარნეტმა და ალენმა წლევანდელ პლეი ოფში სარეკორდოდ ბევრი მოიხვეჭეს და მათ მხარი აუბა ჯეელმა ცენტრმა კედრიკ პერკინსმაც, ვინც ქულებშიც და მოხსნებშიც განაახლა კარიერის რეკორდები. „დეტროიტის“ თავკაცი ფლიპ სანდერსი მერე დაიჩივლებს, გარნეტი და ალენი კი ბატონო, მაგრამ ამ პერკინსმაც რომ შეგვჭამაო (ზესტად ასე თქვა).

„დეტროიტს“ არ უყვარს ასეთი გახსნილი თამაშები, სადაც გუნდებს საბოლოოდ 100-100 ქულაზე მეტი უგროვდებათ. ღია ბურთაობაში სტუმრებს გაუჭირდათ ფარქვეშეთში დამკვიდრება და მოხსნებში საშინლად დაიჩაგრნენ — 25:43. წინა მატჩში თავგამოჩენილი მათი თავდამსხმელი ანტონიო მაკდაიესი ამ ჯერზე 4 ქულას და 5 მოხსნას დააჯერეს ბოსტონელმა მეფარეებმა. მაგრამ, ამის მიუხედავადაც, სტუმრებს ბოსტონში კიდევ ერთი თამაშის მოგების შანსი მაინც ჰქონდათ, ოღონდ ვერ გამოიყენეს.

„ბოსტონი“ პირველ მეოთხედში ოდნავ სჯობდა მეტოქეს, თუმც პერიოდი მაინც 23:23 მორჩა. მეორე მასპინძელ პერკინსის ორიანით დაიწყო, თუმც შემდეგ მთელი სამი წუთი მისიანებმა ქულაც ვერ აიღეს, დეტროიტელებმა კი 10 გაახეხეს და 33:25 დაწინაურდნენ. ეს უპირატესობა პირველ ტაიმში მაინც რომ შეენარჩუნებინათ, შეიძლება, მატჩიც მოეგოთ, იმდენად გაწაფულები არიან ტაქტიკურ თამაშში, მაგრამ „ბოსტონმა“ დიდ შესვენებამდეც გაუბათილა, იქით დაწინაურდა კიდეც მთელი ექვსი ქულით, რასაც მესამე მეოთხედში შვიდი ქულაც დაამატა და 13-ქულიანი ფორით შეხვდა დასკვნით 12 წუთს.

„დეტროიტი“ არ გამოდგა ჯაბანი, მაგარი ბრძოლა გაუმართა მეტოქეს და დროც თითქმის ეყო. საფინალო სირენამდე წუთ-ნახევარზე ნაკლები რჩებოდა, როცა სტუმართა სათადარიგო გამთამაშებელმა როდნი სტაკიმ 100:96 ანგარიშზე სამქულიანი დაახალა მასპინძლებს და სხვაობა თითქმის წაშალა, მაგრამ „ბოსტონსაც კბილებით ეჭირა ლიდერობა. რეი ალენმა სამ ქულამდე წასწია კელტები და თუმც სტაკიმ წყვილი ჯარიმით ისევ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, ალენმა სირენამდე ექვსი წამით ადრე კვლავ სამი ქულით დააშორა „ბოსტონი“ „დეტროიტს“.

ამგვარად, „ბოსტონმა“ ამ მოგებით მოედნის უპირატესობა შეინარჩუნა. წყვილი მეექვსე თამაშს დეტროიტში მართავს და თუ „კელტებმა“ იქ მოგება ვეღარ შეძლეს, მეშვიდე, გადამწყვეტ შეხვედრას საკუთარ მოედანზე ატარებენ, წლევანდელ პლეი ოფში კი მოედნის უპირატესობას ლამის ჩემპიონობის ფასი ადევს.

ვანო კოგიაშვილი

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№1 საავტომობილო ზეთი

ყველაზე დიდი დიდი პრიზი

წვიმის კაცი მონტე კარლოში დაიბადა

ვატიკანის შემდეგ ფართობის სიმცირით ევროპაში მეორე ჯუჯა სახელმწიფოს, მონაკოს გრან პრის „სამეფო რბოლებში“ გამორჩეული ადგილი უკავია. ესაა ყველაზე პრესტიჟული, ყველაზე რთული და ყველა მრბოლისთვის განსაკუთრებულად საოცნებო საპირველფორმულო ეტაპი, რომლის ტრასაც მონტე კარლოს უვიწროეს, აღმართ-დაღმართიან და უამრავ მოსახვევიან ქუჩებში გადის.

გრიმალდების სათავადოს ტერიტორიაზე მდებარე მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კაზინოს გარშემო გასულ კვირას უკვე 55-ედ (ზედიზედ 54-ჯერ) იქროლეს ფორმულა 1-ის პილოტებმა. მონტე კარლო ამ მხრივ რეკორდსმენია — არც ერთ სხვა ტრასაზე მიყოლებით ამდენი რბოლა არ ჩატარებულა

რბოლა კაზინოს გარშემო

ფორმულა 1-ის „მარგალიტის“ ისტორია რვა ათეულ წელს ითვლის. მონაკოს გრან პრი ბებერი კონტინენტის ერთ-ერთი უძველესი ავტოგაჯიბრებაა, რომელსაც საფუძველი 1928 წელს ჩაეყარა, როცა ანტონი ნოგეს საფრანგეთის რივიერაზე, ხმელთაშუა ზღვის პირას გაშენებულ ზღაპრული სილამაზის მონტე კარლოს ქუჩებში ავტორბოლის მოწყობა მოუვიდა აზრად.

ნოგე მონაკოს საავტომობილო კლუბის დამაარსებელი და პრეზიდენტი გახლდათ. მან პრინც გრიმალდის, რომელთა დინასტიაც 700 წელზე მეტია მართავს ამ ციცქნა სათავადოს, დეტალური გეგმა წარუდგინა და ისე დააინტერესა ქვეყნისთვის როგორც პოპულარობის, ასევე შემოსავლის გაზრდის პერსპექტივით, რომ უყოყმანოდ ნებართვაც მიიღო. 1929 წლის 14 აპრილს ანტონი ნოგემ გახსნა „მონაკოს საავტომობილო გრან პრი“, რითაც დასაბამი მიეცა ჯუჯა სახელმწიფოს ახალ ლეგენდას — რბოლას ლეგენდარული კაზინოს გარშემო. პრეზიდენტის ეს დაჟინებული მოწადინება ნაწილობრივ განპირობებული იყო მონაკოს საავტომობილო კლუბის ცალკე საერთაშორისო აღიარების სურვილით, რომელსაც ევროპის ავტოფედერაცია ჯიუტად თვლიდა ოციოდე კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ნიცის ავტოკლუბის ფილიალად.

ასეა თუ ისე, იდეამ ყოველმხრივ გაამართლა და ახალი ეტაპი უმოკლეს ხანში ლამის ყველაზე პოპულარულ შეჯიბრებად იქცა, უპირველესად, სწორედ მძიმე სარბოლო პირობების გამო. სამკილომეტრიან წრეზე ორსაათიანი საწვალებლის საპრიზო სამეულში ჩამთავრება დღესაც გმირობის ტოლფასია, ხოლო გამარჯვებულები უკვდავთა სიაში იმკვიდრებენ ადგილს.

სადებიუტო რბოლაში ყველას აჯობა 26 წლის ინგლისელმა უილიამ გროვერ-უილიამსმა, რომელიც იტალიელი ეტორე ბუგატის ბოლიდით დაჯირითობდა. ბევრი მძღოლი თავიდანვე ჩიოდა, რომ ორღობის სივიწროვის, ჩახვეულ გზებზე ნელა მიმავალი მანქანების გასწრება პრაქტიკულად შეუძლებელია და 1931 წელს ნოგემ გადაწყვიტა, მრბოლები სტარტზე წინასწარი ცდის შედეგების მიხედვით გაემწკრივებინა, რასაც შემდგომში კვალიფიკაცია დაარქვეს.

ეგზოტიკურ, უნიკალურ გარემოში რბოლა ანდამატივით იზიდავდა პრიზის მაძიებელთაც და მათი ფეთიანი, რისკიანი ჯირითის ხილვის მსურველებსაც. „ესაა გიჟური სიტკბოება და სიტკბოება გიჟებისა“ — ასე დაახასიათა კაზინოსთან რბოლა 1932 წლის გამარჯვებულმა, იტალიელმა ტაციო ნუვოლარიმ.

მაგრამ შემდეგ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და რბოლებისთვის აღარავის ეცალა. იტალიელი, გერმანელი, ფრანგი, ბრიტანელი კოლეგა-მეგობრები მტრულ, დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ. 12 მათგანი ბრძოლებში დაიღუპა. 1943 წლის აგვისტოში გესტაპოს პარიზის განყოფილებაში „ფრანგული წინააღმდეგობის“ წევრი, 40 წლის ინგლისელი მიიყვანეს. რამდენიმე დაკითხვის შემდეგ ნაცისტებმა პატიმარი დახვრიტეს. ეს იყო უილიამ გროვერი.

სამთავრო სამეფო რბოლებში

ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ ფორმულა 1-ის კლასში მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარება გადაწყვიტა, მონაკოს გრან პრიმ პირველივე სეზონის კალენდარში დაიკავა ადგილი საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, შვეიცარიისა და დიდი ბრიტანეთის ეტაპებთან ერთად.

1950 წლის 21 მაისს მონტე კარლოს ქუჩებში ზეისტორიულ, უპირველეს რბოლაში 19 მძღოლი ჩაება. კვალიფიკაციის მომგებმა ხუან მანუელ ფანხიომ ფინიშამდე მეწინავეობა არავის დაუთმო და ერთი წრით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული იტალიელი ალბერტო ასკარი. 39 წლის არგენტინელმა „მაესტრომ“ თავისი „ალფა რომეოთი“ 100 წრის (318 კმ) შემოვლას 3 საათი და 13 წუთი მოანდომა „კუსნაბიჯიანი“ 97,2 კმ/სთ საშუალო სიჩქარით.

მომდევნო ოთხი წელი მონაკოური ეტაპი ტექნიკურ-ორგანიზაციული პრობლემების მიზეზით სამეფო კალენდარში აღარ იყო, თუმც ერთხელ, 1952 წელს მრბოლებმა მაინც გაიქროლეს ზღვისპირა ქუჩებში, ოღონდ სპორტკარების კატეგორიაში. სამწუხაროდ, ის ერთი გაქროლებაც ტრაგიკული გამოდგა — კვალიფიკაციისას დაიღუპა 53 წლის იტალიელი ლუიჯი ფაჯიოლი, პირველი საპირველფორმულო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი.

ურთულესი და სახიფათო სარბოლო პირობების მიუხედავად, მონტე კარლოში, საბედნიეროდ, მხოლოდ ორი პილოტია დაღუპული. მეორე უბედური შემთხვევა 1967 წლის რბოლისას მოხდა: გვირაბიდან უზარმაზარი სისწრაფით გამოვარდნილი იტალიელ ლორენცო ბანდინის „ფერარი“ სანაპიროზე მკვეთრ მოსახვევში დამცავ ბარიერს მიეხეთქა, რამდენჯერმე ამოტრიალდა და ცეცხლი გაუჩნდა. რისკის მიუხედავად, მაშველებმა ცდა არ დააკლეს, მაგრამ ცეცხლის ჩაქრობა ვერ მოხერხდა.

იმავე მოსახვევში, ოღონდ 1955 წელს, მონაკოში რბოლების განახლებისთანავე ფათერაკი შეემთხვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ასკარის — „ლანჩამ“ ბარიერი გაამტვრია და ზღვაში ჩავარდა. ალბერტო კარგად ცურავდა და მართალია, ცხვირი გაუტყდა, მაგრამ დაუხმარებლად შეძლო წყლიდან ამოსვლა. სამწუხაროდ, იგი ოთხი დღის შემდეგ მონცაში ახალი „ფერარის“ გამოცდისას დაიღუპა.

წვიმის კაცის დაბადება

მონტე კარლოს გზებზე 1984 წლის რბოლაში კიდევ ერთი ლეგენდა გაჩნდა, ლეგენდა „წვიმის კაცზე“. შორეულ წარსულში ეს საპატიო ტიტული — „რეგენმაისტერ“ — გასული ხუკუნის 30-იანი წლების დიად გერმანელ პილოტს ბერნდ როზმაიერს მიანიჭეს. მაგრამ ეს ფორმულა 1-ის დაბადებამდე იყო, ბერნდი 1938 წელს რბოლისას აღესრულა.

24 წლის წინ „სამეფო რბოლებში“ ახალი „რეინმენი“ გამოჩნდა. 24 წლის ბრაზილიელმა ახალბედა აირტონ სენა და სილვამ თავისი პირველივე „სველი“ რბოლა კინაღამ მოიგო, თანაც უიმედო „ტოულმენ ჰარტით“ — მსაჯების წითელმა დროშამ იგი გამარჯვებისგან ნახევარ ნაბიჯზე დაამუხრუჭა.

ფორმულა 1-ის თითქმის 60-წლიან ისტორიაში სულ ოთხი რბოლა იყო, ნაადრევად, დაგეგმილი დისტანციის სამი მეოთხედის გავლამდე რომ შეწყდა (სამჯერ კოკისპირული წვიმის, ერთხელაც საშინელი ავარიის მიზეზით) და პილოტებს განახევრებული ქულები დაერიცხათ.

1984 წლის სამ ივნისს თავსხმისგან მონაკოს დატბორილ ქუჩებში ტრაგედია არ დატრიალებულა, მაგრამ სწორედ უბედური შემთხვევის შიშით რბოლა 32-ე წრეზე შეწყვიტეს, როცა მონაწილეებს მხოლოდ ასიოდე კილომეტრი ჰქონდათ გავლილი. პოულ პოზიცია ალენ პროსტს ეკავა, აირტონი მე-13 იდგა, მაგრამ პირველივე წრის ბოლოს უკვე მერვე იყო, 15 წრის მერე — მესამე, ხოლო კიდევ სამი წრის შემდეგ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნიკი ლაუდას გასწრების შედეგად, მეორე გახდა პროსტთან 35-წამიანი ჩამორჩენით.

ტრასაზე დარჩენილი ცხრა მძღოლიდან ავარიის შიშით ყველა ფრთხილობდა, მხოლოდ სენა რისკავდა და ყოველ წრეზე 3-4 წამით უახლოვდებოდა მუხრუჭების პრობლემიანი ლიდერის „მაკლარენ-პორშეს“. მოსალოდნელი ხიფათისგან თავის დაზღვევის მიზნით, გრან პრის დირექტორმა ჟაკი იქსმა ერთი საათის გასვლის შემდეგ რბოლის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. აირტონის პასივი იმ მომენტისთვის შვიდი წამიღა იყო და რამდენიმე წრეც რომ დასცლოდა, ჩემპიონ „პროფესორისთვის“ იქნებ გაესწრო კიდეც. ამიტომაც პოდიუმზე ცრემლს ძლივს იკავებდა.

ეს მომავალი სამგზის ჩემპიონის, სანპაულუელი „ჯადოქრის“ კარიერაში მხოლოდ მეექვსე ეტაპი იყო და უმძიმეს ვითარებაში დებიუტანტის დამაჯერებელი, უშეცდომო პილოტირებისგან სპეციალისტთა განცვიფრება და აღტაცება სავსებით ლოგიკურია.

იქსი კი იმ გადაწყვეტილების გამო კრიტიკის ცეხლში მოექცა. მას რბოლის განზრახ შეწყვეტა დააბრალეს. საქმე ისაა, რომ ბელგიელი ექსმეფორმულე იმხანად სპორტპროტოტიპების ჩემპიონატში „პორშეს“ გუნდის სახელით გამოდიოდა და ეჭვი გაჩნდა, რომ დაინტერესებული იყო, პროსტის, სწორედ „პორშეს“ ძრავიანი მანქანის გამარჯვებაში. ბევრნი იმ ფაქტზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ ჯირითის გაჩერებისას წვიმა იმაზე ძლიერი არ ყოფილა, ვიდრე მანამდე.

ასეთი გამოდგა აირტონისთვის მონტე კარლოს ქუჩების ჭაშნიკი. სამი წლის შემდეგ იქ პირველი გამარჯვება იზეიმა „ლოტუსით“, მერე კიდევ ხუთჯერ ზედიზედ იპირველა უფრო მძლავრი „მაკლარენით“ და ექვსი მოგებით „მისტერ მონაკო“ იქნებ სამუდამო მერ ეკორდედაც დარჩეს.

სენა ათი წლის შემდეგ სან მარინოში რბოლისას დაიღუპა, მომდევნო ეტაპი კი სწორედ მონაკოსი იყო. ლეგენდარული ბრაზილიელის ხსოვნის პატივსაცემად რბოლის ორგანიზატორებმა პოულ-პოზიცია ცარიელი დატოვეს და ზედ ბრაზილიის დროშა დაახატეს...

ლუის ჯარლ 29-ე

გასულ კვირას გამართული მონაკოს გრან პრი „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელმა პილოტმა ლუის კარლ ჰემილტონმა მოიგო. იგი ჯუჯა სათავადოს, საერთოდ 29-ე და მესამე ალბინელი ტრიუმფატორია ხუთგზის გამარჯვებულ გრეგ ჰილისა და სტირლინგ მოსის (3) შემდეგ.

როგორც ყოველისმცოდნე სტატისტიკა გვაცნობს, წინა 54 სეზონში 18-ჯერ მოხდა, რომ მონტე კარლოში მომგებმა იმ წელს ჩემპიონობა მოიპოვა, ბოლო ათწლეულში კი ასეთი მხოლოდ ორი შემთხვევა აღინიშნა — მიხაელ შუმახერი (2001) და ფერნანდო ალონსო (2006).

23 წლის ჰემილტონმა მონაკოს დიდ პრიზთან ერთად, გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობაც მიიღო, თუმც სტატისტიკას თუ დავუჯერებთ...

გია ახალაძე



1929. მონაკოს პირველი რბოლის გამარჯვებული უილიამ გროვერი

აირტონ სენამ ხუთი ეტაპი „მაკლარენით“ მოიგო

სტენლის თასი. ფინალი

მესამე მატჩი

პიტსბურგი 3:2 დეტროიტი

1:0 1:1 1:1

სერია დეტროიტს მიჰყავს 2:1

1:0 კროსბი (18, ჰოსა), 2:0 კროსბი (23, უმრ. ჰოსა, მელუნი), 2:1 ფრანცენი (35, უმრ. ლიდსტრომი, კრუნვალი), 3:1 ჰოლი (48, ტელბოტი, რობერტსი), 3:2 სამუელსონი (74, სტიუარტი, ფილპულა)

პინგვინებმა ფრთა გაშალეს



სიდნი კროსბი

საკუთარი კედლებისა და ყინულის ფაქტორს ნჭლ-ის წლევანდელ პლეი ოფში დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს გუშინ „პიტსბურგმაც“ დაამტკიცა, როცა შინაურ „მელონ არენაზე“ დაამარცხა „დეტროიტი“ და სერიაში ანგარიში შეამცირა. ამ შეხვედრის წაგების შემთვევაში „პიტსბურგი“ კატასტროფის პირას დადგებდა, რადგანაც 0:3 ჩამორჩენა ნჭლ-ის ისტორიაში სულ ორჯერ აღმოუფხვრიათ, დღევანდელი თანაბარი ლიგის პირობებში კი ამ ორმოდან ამოძრომა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.

უშუალოდ მოგების გარდა „პიტსბურგის“ ჰოკეისტებისთვის მთავარი მაინც ის არის, რომ მათ შეძლეს მეტოქის აქამდე გაუვალი დაცვის გარღვევა და დარწმუნდნენ, რომ სუსტი წერტილები „დეტროიტულ“ მანქანასაც გააჩნია. არადა, მიჩიგანში ჩატარებულ ორ შეხვედრაში ანტარქტიდის ბინადრებს ხელ-ფეხი მთლიანად შეუკრეს და ისინიც მაყურებელს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ყინულზე სტენლის თასისთვის საბრძოლველად გასულ მეომრებს. თუმც „პინგვინებმა“ თავიანთი სწრაფი თამაშით, რომელსაც გუშინ ძალისმიერი ელემენტიც დააყოლეს, აიძულეს მეტოქე, შეცდომები დაეშვა და ამით კარგადაც ისარგებლეს.

მატჩის გმირი კი უდავოდ სიდნი კროსბი იყო, რომელმაც როგორც ნამდვილ კაპიტანს შეეფერება, ყველაზე საჭირო და რთულ მომენტში აიყოლია პარტნიორები. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, „პატარა სიდი“ თავისი გუნდის ნამდვილი ლიდერია როგორც გასახდელში, ისე ყინულზეც.

„აუცილებლად გვჭირდებოდა პირველი შაიბის გატანა — დაწინაურების შემთხვევაში ისინი თავს იმდენად კარგად იცავენ, რომ ისევ მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდებოდით. ამიტომ, როგორმე პირველი შაიბის ჩვენ უნდა გაგვეტანა, რომ ისინი გახსნილიყვნენ და მადლობა ღმერთს, ეს მოვახერხეთ კიდეც“ — განაცხადა ნამატჩევს კროსბიმ.

კროსბიმ კრის ოზგუდის კარს გასაღები პირველად მე-18 წუთზე მოარგო და ამით თავისი გუნდის 154,58 წუთიანი მშრალ სერიას მოუღო ბოლო. თუმც ამ შაიბაში თავისი წვლილი „დეტროიტმაც“, კერძოდ კი წინა შეხვედრის ერთ-ერთმა გმირმა ბრედ სტიუარტმა შეიტანა, რომელმაც თავის ზონაში შაიბა უაზროდ დაკარგა. ამით ისარგებლა მარიან ჰოსამ, რომლის დარტყმულსაც ოზგუდი გაუმკლავდა, მაგრამ კროსბი იქვე იყო და დამატებაზე ანგარიში გახსნა კიდეც.

ამ გოლმა „პინგვინებს“ ფრთები გამოასხა და მათაც მეტოქის კართან მომენტის მომენტზე შექმნა დაიწყეს — „დეტროიტის“ დაცვა კი სერიაში პირველად დაიბნა და ვერ შეძლო მეტოქის ფორვარდების ამოკეტვა. მასპინძლებმა ეს აღმაფრენა მეორე პერიოდშიც გადაიტანეს და იმავე კროსბიმ მალე ანგარიში ორამდე გაზარდა. გამარჯვებისა კი სრულიად მოულოდნელმა პერსონაჟმა, ადამ ჰოლმა შეაგდო, რომელმაც ძალიან ცბიერად ითამაშა — კარს უკან მყოფმა შაიბა ოზგუდს მოარტყა ფეხზე და შავი დისკოც ასე შეფრინდა ბადეში.

მოგება მოგებად, მაგრამ მიშელ ტერიენმა აუცილებლად უნდა შეაგნებინოს თავის შეგირდებს, რომ ეს მხოლოდ ერთი მცირე ნაბიჯია და ეიფორიაში ჩავარდნა ნაადრევია. „პიტბურგს“ კვალავაც ბლომად აქვს პრობლემები — მაგალითად, ისევ ჩუმად არიან ევგენი მალკინი და ჯორდან სტაალი. ამათ გარეშე კი „პინგვინებს“ არაფერი გამოუვათ, რადგანაც რაც არ უნდა დიდი იყოს კროსბი, მარტოსულად ამ სერიას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოიგებს.

კახა ლომაჯვილი

ოვეჩკინის ჯილდოები

სტენლის თასის ფინალის გუშინდელი მატჩის წინ აწ მიწურულ რეგულარულ სეზონში თავგამოჩენილ ჰოკეისტებს პრიზები ჩამოურიგეს. მთავარი ცერემონიალი 12 ივნისს ტორონტოში გაიმართება, სადაც ლიგისა და ჟურნალისტების მიერ არჩეული საუკეთესო ჰოკეისტები დასახელდებიან. გუშინ კი პრიზები იმათ გადასცეს, ვისაც ჯილდოები ისედაც განაღდებული ჰქონდათ.

ყურადღების ეპიცენტრში ალექსანდრ ოვეჩკინი იყო, რომელიც რუსეთიდან სპეციალურად ამისთვის ჩაფრინდა ამერიკაში. „ვაშინგტონის“ სუპერ-ვარსკვლავს ლიგის მთავარ კაცმა, კომისიონერმა გერი ბეტმენმა „არტ როს ტროფი“ (პრიზი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის) და „მორის რიშარ ტროფი“ (ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერს) გადასცა. შეგახსენებთ, რომ რეგულარულ სეზონში ოვეჩკინმა 112 ქულა მოიხვეჭა, რომელთაგან 65 გოლებზე მოდის — ამით ის პირველი ჰოკეისტი შეიქნა ბოლო 12 წლის განმავლობაში, ვინც 60-შაიბიან ზღვარს უწია. ისე, „ალექსანდრ დიდს“ შეიძლება ტორონტოში ჩასვლაც მოუწიოს, რადგანაც ის კიდევ ერთი ჯილდოს — „ჰარტ ტროფის“ (სეზონის უძვირფასესი მოთამაშე) მოგების მთავარი კანდიდატია.

წლეულს დაწესებული მისივე სახელების პრიზი დიდმა მარკ მესიემ „ტორონტოს“ კაპიტან მატს სუნდინს გადასცა. „მარკ მესიე ლიდერშიფ ევარდი“ ლიდერული თვისებებით გამორჩეულ ჰოკეისტს გადაეცემა, რომელსაც თავად მესის ირჩევს — ჰოდა, ყველა დროის უდიდეს კაპიტნად შერაცხულმა კანადელმა წლეულს სუნდინი გამოარჩია.

თავისი წილი ჯილდო ფინალისტი გუნდის, „დეტროიტის“ მეკარეებს — კრის ოზგუდსა და დომინიკ ჰაშეკსაც ხვდათ, რომელთაც „ჯენინგს ტროფი“ გადასცეს. ეს პრიზი იმ გუნდის მეკარეთა ტანდემს გადაეცემა, რომელიც რეგულარულ ჩემპიონატში ყველაზე ნაკლებ შაიბას გაუშვებს.

ბოლოს კი „მასტერსონ ტროფის“ ლაურეატები დააჯილდოვეს — ეს პრიზი გადაეცემათ იმ ჰოკეისტებს, რომლებიც „ჰოკეის უმთავრეს ღირებულებებს განასახიერებენ“. ამჯერად პატივი „ვანკუვერის“ ვეტერან ტრევორ ლინდენს (რომელმაც წლეულს კარიერა დაასრულა) და „ტამპას“ კაპიტან ვენსან ლეკავალიეს ერგოთ

კახა ლომაჯვილი

მოვიგოთ თბილისში და წავიდეთ ჰანოვერში

იქამდე ერთ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა, მაგრამ უკვე ცნობილია თბილისის შვიდკაცას ორდღიანი განრიგი, რომელიც ამავდროულად ევროპული სერიის ფინალური ეტაპის შესარჩევი ტური და შვიდკაცას მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპიცაა.

ადრეც გვეწერა და ერთხელაც გავიმეოროთ. შვიდკაცაში ევროპული სერიის შვიდი ეტაპი იმართება და ევრონაკრებები მათგან ორ ეტაპს ირჩევენ. ამ ორ ეტაპზე დაგროვილი ქულებით ნაკრებები ევროპის ჩემპიონატის 12-გუნდა ფინალურ ეტაპზე გადიან, რომელიც წლეულს გერმანულ ჰანოვერში ჩატარდება. ჰანოვერში გამოვლენილი ხუთი საუკეთესო ნაკრები კი გაისად დუბაიში, მსოფლიოს თასზე ითამაშებს.

წლეულს საქართველოს ნაკრებმა სოპოტის და თბილისის ეტაპები აირჩია. სოპოტში ჩვენებმა ექვსიდან ხუთი მატჩი კი მოიგეს, მაგრამ ჯგუფიდან ვერ გავიდნენ და საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავეს. ამით ქართველმა მოშვიდკაცეებმა 8 სარეიტინგო ქულა მოიპოვეს და ახლა თბილისის ეტაპის მოგება სჭირდებათ, რომ ჰანოვერის საგზური დაიბევონ. შეიძლება ისეც მოხდეს, ქართველებმა პლეი ოფში გასვლითაც ჩაიწერონ საჭირო სარეიტინგო ქულები, მაგრამ მაშინ სხვა გუნდებზე იქნებიან დამოკიდებულნი. ამიტომ სჯობს, ქართველებმა მოსაგები მოიგონ, მით უმეტეს, თბილისში, აქამდე გამართული შვიდი ეტაპიდან ხუთი მოიგეს. ის ორი ჩემპიონობა კი ფრანგებს დარჩათ, რომლებიც წლეულს არ გვესტუმრებიან. ახლა რეალურად ჩვენების კონკურენტები უელსელები არიან, სხვები კი ტრადიციებით და ოსტატობით ქართველებთან ახლოსაც ვერ მოვლენ.

ბაჩო სვანიძე

თბილისის შვიდკაცა. 7-8 ივნისი

A ჯგუფი	B ჯგუფი
აზერბაიჯანი	საქართველო
მოლდოვა	კვიპროსი
უკრაინა	უელსი
ლატვია	ისრაელი
საბერძნეთი	ბულგარეთი

შაბათი. 7 ივნისი

ჯგუფური ეტაპი

10:30. აზერბაიჯანი — მოლდოვა
10:50. კვიპროსი — უელსი
11:10. უკრაინა — ლატვია
11:30 საქართველო — ისრაელი
11:50. მოლდოვა — საბერძნეთი
12:10. უელსი — ბულგარეთი
12:30.უკრაინა — აზერბაიჯანი
12:50. საქართველო — კვიპროსი
16:30. ლატვია — საბერძნეთი
16:50. ისრაელი — ბულგარეთი
17:10. მოლდოვა — უკრაინა
17:30. საქართველო — უელსი
17:50. ლატვია — აზერბაიჯანი
18:10. ისრაელი — კვიპროსი
18:30. უკრაინა — საბერძნეთი
18:50. საქართველო — ბულგარეთი

კვირა. 8 ივნისი

10:00. მოლდოვა — ლატვია
10:20. უელსი — ისრაელი
10:40. საბერძნეთი — აზერბაიჯანი
11:00. ბულგარეთი — კვიპროსი

მე-5-8 ადგილებისთვის

11:30. A3 — B4
11:50. A4 — B3

ნახევარფინალები

12:10. A2 — B1
12:30. A1 — B2

ფინალები

17:00 საათიდან

საქამ და რთველომ ბადე გაჭრეს

ბარსელონაში პლაჟის ფრენბურთელთა მსოფლიოს ტური მიმდინარეობს. ბრაზილიელი გოგონებით შემდგარმა ქართულმა წყვილმა — საქამ და რთველომ — საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია და ამჟამად უკვე ძირითად ბადეში აგრძელებს თამაშს. ჩვენმა ფრენბურთელებმა საკვალიფიკაციოდან ორი მოგებით ამოყვინთეს და მთავარ შეჯიბრში 25-ე ნომრად განითესნენ. ქართველ-ბრაზილიელებს პირველ მეტოქედ აშშ-ის წარმომადგენლების, ვაჩოლდერის და ტარნერის დუეტი ერგოთ. ოკეანისგაღმელებმა ქართველი ფრენბურთელები სამ სეტში (21:13, 14:21, 15:12) დაამარცხეს. ტურნირის ფორმატიდან გამომდინარე, საქასა და რთველოს თამაშის გაგრძელების მეორე შანსიც მიეცათ. მეორე შეხვედრაში ჩვენი წყვილი ალკონისა და მატვეევას ესპანურ დუეტს დაუპირისპირდა და 2:1 (21:18, 21:23, 15:10) იმარჯვა.

მომდევნო მატჩს საქა-რთველო კიდევ ერთ ესპანურ ტანდემთან გამართავს. ჩენები კამპისი-ლიზანოს წყვილს შეერკინებიან.

ზურაბ მიგრიაული

91-ე ჯირო დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი

XVII ეტაპი

სონდრიო — ლოკარნო. 146 კმ

1. ანდრე გრეიპელი (გერმანია, „ჰაი როადი“)	3 სთ 27 წთ 05 წმ
2. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, „ჰაი როადი“)	
3. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი“)	ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“)	72 სთ 14 წთ 40 წმ
2. რიკარდო რიკო (ესპანეთი, „სონი დიუვალი“)	+41 წმ
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სერამენტი“)	+1.21
4. მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე“)	+2.00
5. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი“)	+2.05
5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“)	+7.54

როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა. 26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო

კაცები
მეორე წრე

ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — **ბობი რეინოლდსი** (აშშ) 7:5 6:4 5:7 7:5; **ჟერემი ჩარდი** (საფრანგეთი) — **დავიდ ნალბანდიანი** (6, არგენტინა) 3:6 4:6 6:2 6:1 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი** (30, რუსეთი) — **გილერმო გარსიალოპესი** (ესპანეთი) 7:6 6:0 6:0; **ერნესტ გულბისი** (ლატვია) — **ჯეიმს ბლეიკი** (7, აშშ) 7:6 3:6 7:5 6:3; **იარკო ნიემინენი** (26, ფინეთი) — **მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) 7:5 6:1 3:6 7:6; **მიხაილ იუჟნი** (15, რუსეთი) — **მაქსიმო გონსალესი** (არგენტინა) 6:3 6:2 6:2; **სტანისლას ვავრინკა** (9, შვეიცარია) — **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) 7:6 7:6 6:1; **ფერნანდო ვერდასკო** (22, ესპანეთი) — **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) 7:5 4:6 6:3 7:5; **ფერნანდო გონსალესი** (24, ჩილე) — **პაბლო ანდუხარი** (ესპანეთი) 7:5 6:0 6:7 7:6; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — **ნიკოლა დევილდერი** (საფრანგეთი) 6:4 6:0 6:1; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **ალბერტ მონტანიესი** (ესპანეთი) 6:7 6:1 6:0 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (28, ხორვატია) — **დიეგო ხუნქუერა** (არგენტინა) 6:3 6:4 6:2; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — **დავიდ მარერო** (ესპანეთი) 4:6 6:0 6:3 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — **მარატ საფინი** (რუსეთი) 7:6 6:2 6:2; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — **მარკოს დანიელი** (ბრაზილია) 4:6 6:3 2:6 6:3 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (21, ჩეხეთი) — **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) 6:1 6:0 6:7 6:3; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) 6:0 6:1 6:0; **რობი ჟინეპრი** (აშშ) — **იგორ ანდრეევი** (27, რუსეთი) 4:6 6:2 7:6 6:2; **ტომი რობრედო** (12, ესპანეთი) — **მარკ ჟიკელი** (საფრანგეთი) 6:7 6:4, 6:4 6:4; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — **ლუის ჰორნა** (პერუ) 7:6 6:4 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (25, ავსტრალია) — **მარდი ფიში** (აშშ) 6:4 6:3 6:2; **როგინ სოდერლინგი** (შვედეთი) — **პოლ კაპდევილი** (ჩილე) 6:3 6:2 6:4; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — **ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) 6:4 6:3 6:7-ზე გადაიდო

ქალები
მეორე წრე

ვინუს უილიამსი (8, აშშ) — **სელიმა სფარი** (ტუნისი) 6:2 6:4; **დომინიკა ციბულკოვა** (28, სლოვაკეთი) — **მილაგროს სექუერა** (ვენესუელა) 6:3 6:0; **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — **მარინა ერაკოვიჩი** (ახალი ზელანდია) 6:2 7:6; **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი) — **შუაი პენგი** (ჩინეთი) 6:4 6:3; **ფლავია პენეტა** (26, იტალია) — **ანასტასია პავლუჩენკოვა** (რუსეთი) 3:6 6:1 6:1; **პეტრა ცეტკოვსკა** (ჩეხეთი) — **გალინა ვოსკობოევა** (რუსეთი) 7:5 6:3; **კარლა სუარეს ნავარო** (ესპანეთი) — **ამელი მორესმო** (22, საფრანგეთი) 6:3 6:4; **აგნეს სუავი** (12, უნგრეთი) — **საბინე ლისიცკი** (გერმანია) 7:5 6:3; **ალიზ კორნე** (19, საფრანგეთი) — **გიზელა დულკო** (არგენტინა) 6:0 4:6 6:4; **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი) — **აი სუგიამა** (31, იაპონია) 6:0 7:5; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) 6:1 6:4; **კეისი დელაკუა** (ავსტრალია) — **ნატალი დეში** (საფრანგეთი) 6:4 6:2; **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი) — **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) 6:2 6:1; **კარინ ნაპი** (32, იტალია) — **ოლივია სანჩესი** (საფრანგეთი) 6:2 7:6; **ალექსანდრა ვოზნიაკი** (კანადა) — **აკგულ ამანმურადოვა** (უზბეკეთი) 1:6 6:1 6:3; **დინარა საფინა** (3, რუსეთი) — **მაგდალენა რიბარიკოვა** (სლოვაკეთი) 6:0 6:1; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — **ანა ჩაკვეტაძე** (6, რუსეთი) 6:4 7:6 ; **ში ფენგი** (ჩინეთი) — **მარია კირილენკო** (21, რუსეთი) 4:6 6:3 6:2; **ვიქტორია აზარენკა** (16, ბელარუსი) — **სორანა მიჰაელა კირსტეა** (რუმინეთი) 6:0 6:0; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (29, ესპანეთი) — **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) 4:6 6:3 6:1; **ფრანჩესკა შიავონე** (18, იტალია) — **სანდა მამიჩი** (ხორვატია) 6:3 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — **ვანია კინგი** (აშშ) 6:4 6:2; **ნადია პეტროვა** (25, რუსეთი) — **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი) 6:3 4:2-ზე გადაიდო; **მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — **ბეტანი მატეკი** (აშშ) 6:2 2:3-ზე გადაიდო

ჟერემი ჩარდი

ნალბანდიანი ჩარდით დაიხშრა

„როლან გაროსი“ ნელ-ნელა უბრუნდება ჩვეულ რიტმს. კვირის დასაწყისში წვიმებმა პარიზულ სლემტურნირზე მდგომარეობა გვარიანად აურია, მაგრამ ბოლო ორ დღეში ყველაფერი წესრიგში ჩადგა. ბუნებამ გუშინაც შეაწუხა სპორტსმენები, მაგრამ ამჯერად მხოლოდ საათნახევრით, თორემ ისე მეჩოგნეებს თამაშის საშუალება მისცა და ამიტომაც გუშინ ბლომად მატჩები შედგა.

პირველი სერიოზული მოულოდნელებები ტურნირზე მხოლოდ მეხუთე სათამაშო დღეს ვიხილეთ — ფავორიტთა კოჰორტამ საკმაოდ შესამჩნევი დანაკლისი განიცადა, რადგანაც პარიზიდან ტურნირის მეექვსე და მეშვიდე ნომრები, შესაბამისად, დავიდ ნალბანდიანი და ჯეიმს ბლეიკი დაიფრინეს.



ალიზ კორნე

ამათგან უფრო მოულოდნელი ნალბანდიანის მარცხი იყო. არგენტინელს ხომ თიხნარზე თამაშის უდიდესი გამოცდილება აქვს, მეტიც, მისთვის არც „როლან გაროსის“ კორტებზე კარგად გამოსვლაა უცხო — აქ ორჯერ ნახევარფინალში აქვს ნათამაშევი. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მეტოქედ მსოფლიოს 145-ე ნომერი და ტურნირზე კვალიფიკაციიდან მოხვედრილი მეჩოგნე ჰყავდა, დავიდი უეჭველ ფავორიტად მიიჩნეოდა. თუმც ადგილობრივები, რომლებიც წამყვან ფრანგ მეჩოგნეთა ტრავმების გამო, ტურნირისგან კარგს არაფერს ელოდნენ, ახალგაზრდა ჟერემი ჩარდიმ მაგრად გაახარა. 19 წლის ფრანგმა ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე შეძლო გოროზი არგენტინელის წაქცევა და პირველი ხმაურიანი სენსაციაც შემოგვთავაზა. მაგრამ ისიც ავღნიშნოთ, რომ ნალბანდიანს ტრავმა გაუმიზეზდა და მისი მარცხის მიზეზიც ეს უფროა, ვიდრე მეტოქის კარგი თამაში — სანამ ჯანზე იყო, სამხრეთ ამერიკელი აშკარად ჯაბნიდა მასპინძელს. მაგრამ მესამე სეტის დასწყისიდან თავის თავს აღარ ჰგავდა, რადგანაც კორტზე ძლივს დალასლასებდა. ჩარდიმაც ამით კარგად ისარგებლა და კარიერაში პირველად უწია სლემტურნირის მესამე წრეს.

ახალგაზრდა მეჩოგნეს შეეწირა ბლეიკიც, თუმც ამერიკელი თავს ვერაფრით გაიმართლებს — ერნესტ გულბისმა პირწმინდად დაჩარა იანკთა მთავარი იმედი. ლატვიელმა სისწარაფეშიც აჯობა გამოცდილ მეტოქეს და ტექნიკური მომზადებითაც. მოკლედ, ანდრე აგასის შემდეგ ამერიკელებს თიხნარზე ხეირიანად მოთამაშე ჩოგბურთელი არაფრით არ ეღირსათ.

გუშინ კორტზე ვიხილეთ თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცები — როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი, რომლებმაც დაახლოებით ერთნაირად ითამაშეს.

ფედერერით დავიწყოთ, რომელიც ალბერტ მონტანიესს ხვდებოდა. საერთოდ, ესპანელთან გრუნტზე თამაში სასიამოვნო არასოდეს არის, რადგანაც ამ საფარზე ნებისმიერ პირინელელი შეძლებს ბრძოლის გაჩაღებას. მით უმეტეს ეს მოსალოდნელი იყო მონტანიესის ნაირი გამოცდილი მეჩოგნისგან. ჰოდა, ესპანელმაც პირველ სეტში გვარიანად თავსატეხი გაუჩინა „მხიარულ როჯერს“, რომელმაც ვერაფრით შეძლო წინ გასვლა. 5:5-ზე კი გაწვიმდა და ჩოგბურთელებმაც გასახდელებს მიაშურეს, საიდან დაბრუნების შემდეგაც ესპანელმა საწყისი პარტია სათავისოდ დაიტოვა. ეტყობა, ამან ფედერერი მაგრად გააცოფა და ისიც ისე ათამაშდა, რომ საცოდავი მონტანიესი სპარინგ-პარტნიორის მოვალეობას უფრო ასრულებდა, ვიდრე მეტოქისას. მეორე და მესამე სეტებში ალპელმა მხოლოდ გეიმი ააღებინა მეტოქეს. ესპანელმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, მაგრამ ფედერერმა საქმის კიდევ უფრო გაწელვა აღარ ისურვა და მეოთხე სეტიც სათავისოდ დაიტოვა.

„კარგი გამოცდა იყო“ — მოკლედ მოჭრა ალპელმა.

თითქმის იგივე გზა გაიარა ნადალმაც — პირველ სეტში ცოტათი იწვალა, შემდეგ წვიმის გამო კორტის დატოვება მოუხდა, მაგრამ საქმე მაინც სათავისოდ დაასრულა. ერთ ეგაა, რომ ესპანელმა ჯადო ბიჭმა ფედერერისგან განსხვავებით სეტი არ დაუთმო მასპინძელ ნიკოლა დევილდერს.

რაფამ პირობა პირნათლად აასრულა — თავისი პირველი შეხვედრის შემდეგ თქვა, ცოტა მაცალეთ, აქაურობას გავუთავისდები და მოვუმატებო, რაც გუშინ საკუთარი თვალით ვნახეთ. როგორც კი ესპანელმა ტონუსი დაიჭირა და თავისებურად გიჟური ქროლვით ამოძრავდა კორტზე, მეტოქისთვის შანსი აღარ მიუცია. და ერთი საყურადღებო ნიუანსიც — ისე გამოვიდა, რომ ნადალს ჯერ მხოლოდ მისნაირ ცაციებთან უწევს ჭიდილი. ასე იყო პირველ ორ წრეში და რაფას მომდევნო მეტოქეც ცაცია იქნება — ფინელი იარკო ნიემინენი.

საინტერესო ჯახს ველოდით რუსთა დუელისგან, რომელშიც ერთმანეთს ნიკოლაი დავიდენკო და მარატ საფინი გადაეყარნენ. დღევანდელი გადასახედიდან დავიდენკოს თითქოს იოლად კი უნდა მოეგო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საფინს პარიზში თამაში გამოსდიოდა ხოლმე, ეგებ ახლაც გამოიდოს თავიო. თუმც აყლაყუდა რუსმა მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა გაცილებით უკეთეს ფორმაში მყოფ და რეიტინგში გაცილებით მაღლა მდგომ თანამემამულეს, შემდეგ კი ისევ უგერგილოდ ითამაშა.

ქალთა შორის მომხდარიდან კი ერთადერთი მოულოდნელი ანგარიში ამელი მორესმოს მარცხი იყო. ეს ფრანგი ბოლო ორი სეზონია სულ უფრო და უფრო უარესად თამაშობს და მისგან მთების გადატრიალებას არც წლევანდელ „როლან გაროსზე“ ელოდნენ, მაგრამ იმის წარმოდგენა მაინც ძნელი იყო, რომ კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ესპანელ კარლა სუარეს ნავაროს ვერ გაუმკლავდებოდა. თუმც მორესმომ შეცდომების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ ახალგაზრდა ესპანელს ოფლის ხეირიანად მოდენაც კი არ დასჭირვებია მესამე წრის საგზურის გასანაღდებლად. ფრანგ მაყურებელს კი საგულშემატკივროდ უკვე ქალებშიც თითქმის აღარავინ დარჩა — მორესმოს „გმირობა“ ერთი დღით ადრე მარიონ ბარტოლიმ ჩაიდინა. ადგილობრივთა ერთადერთი იმედი ახალგაზრდა ალიზ კორნელაა, რომელმაც გუშინ გიზელა დულკო გაუყენა სახლის გზას.

მოიგეს ვინუს უილიამსმა და ელენა იანკოვიჩმა. პირველს არანაირი პრობლემები არ შექმნია ტუნისელ სალიმ სფართან. აი, სერბი ცოტა კი გაწვალდა, ოღონდ არა იმდენად მეტოქისგან, რამდენადაც ატკივებული ხელისგან, რომელმაც გვარიანი დისკომფორტი შეუქმნა. თუმც ელენამ მატჩის შეწყვეტა არ ისურვა და მაინც მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

„მეორე სეტის დასაწყისიდანვე ამტკივდა და თანდათან აუტანელი გახდა. მასაჟმა მიშველა, მაგრამ ხელის შეხვევაზე უარი ვთქვი, რადგანაც ჩოგნის ხეირიანად ქნევას ვეღარ შევძლებდი და ისევ მერჩივნა, ტკივილით მეთამაშა“ — ჩიოდა ნამატჩევს იანკოვიჩი.

კახა ლომაშვილი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00